გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტების ინფორმირება-კონსულტირებისთვის

ხშირად დასმული კითხვები

თბილისი

ნოემბერი, 2024

თემა 1. პირადი დოკუმენტები 7

- *რა დოკუმენტებია საჭირო საქართველოს მოქალაქის საზღვარგარეთიდან საქართველოში დაბრუნებისთვის? სად შეიძლება ამ დოკუმენტების აღება? ფასიანია თუ უფასო?*.....7
- *საქართველოში სად შეიძლება მოქალაქის პირადობის ელექრონული მოწმობისა და პასპორტის აღება და რამდენია მომსახურების საფასური?*.....8
- *სად შეიძლება საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის ცნობის აღება და რამდენია საფასური?*.....9
- *სად შეიძლება ნასამართლობის ცნობის აღება და რამდენია საფასური?*.....10
- *სად ხდება სატრანსპორტო საშუალებებების მართვის მოწმობის აღება?*.....11
- *საქართველოში აღებული მართვის მოწმობა თუ მოქმედებს საზღვარგარეთ?*.....11
- *უცხოეთში აღებული მართვის მოწმობა თუ მოქმედებს საქართველოში? რა ვადით?*.....12
- *როგორ ხდება უცხოეთში აღებული მართვის მოწმობის შეცვლა?*.....12

თემა 2. საცხოვრისით უზრუნველყოფა..... 13

- *დაბრუნებული მიგრანტებისთვის თუ არსებობს სახელმწიფოს მიერ საცხოვრისით უზრუნველყოფის რაიმე შესაძლებლობა?*.....13
- *საქართველოში თუ არსებობს სახელმწიფო ან მუნიციპალური პროგრამები მუდმივი ან დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიმართულებით და ვისზე ვრცელდება ეს პროგრამები?*.....13
- *საქართველოში საცხოვრისის შეძენის ან რემონტის დაფინანსების რა ალტერნატიულ საშუალებები არსებობს?*.....14
- *საქართველოში საცხოვრებელი ადგილის მისამართზე რეგისტრაცია სავალდებულოა? როგორ ხდება რეგისტრაცია მისამართის მითითების გარეშე?*.....15

თემა 3. ქონების რეგისტრაცია..... 16

- *რა სახის ქონების რეგისტრაციაა საჭირო და სად ხდება მისი რეგისტრაცია?*.....16
- *უძრავი ქონების (მიწის, შენობის, ნაგებობის) რეგისტრაცია ფასიანია თუ უფასო?*...17
- *თვითნებურად დაკავებული მიწის რეგისტრაცია თუ ხდება?*.....18
- *როგორ ხდება მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების აღიარება და რეგისტრაცია?*.....18
- *რა შემთხვევაშია საჭირო იჯარის უფლების რეგისტრაცია?*.....19
- *საქართველოში უცხოეთიდან შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალება თუ ექვემდებარება რეგისტრაციას, რა ვადაში და სად?*.....19

თემა 4. სამეწარმეო საქმიანობა 19

- *რომელი საქმიანობა მიეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობას?*.....19
- *სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია სავალდებულოა? სად ხდება რეგისტრაცია? ფასიანია თუ უფასო?*.....20
- *საჭიროა თუ არა სამეწარმეო საქმიანობის საგადასახადო რეგისტრაცია შემოსავლების სამსახურში?*.....21

თემა 5. ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები 21

- *ბიზნესის მხარდასაჭერად რა პროგრამებს ახორციელებს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“?*.....21
- *სოფლის მეურნეობისა და აგრარული ბიზნესის მხარდაჭერის რა პროგრამებია საქართველოში და ვინ ახორციელებს?*.....22
- *ტურიზმის მიმართულებით თუ ხდება ბიზნესის მხარდაჭერა?*.....25
- *ინოვაციური იდეების განსახორციელებლად თუ არის სახელმწიფო პროგრამები და რომელი უწყება ახორციელებს?*.....25
- *მუნიციპალიტეტებს თუ აქვთ ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები?*.....26

თემა 6. განათლება..... 27

- *რა ასაკიდან ხდება მუნიციპალურ საბავშვო ბაგა-ბაღში ჩარიცხვა და როგორია პროცედურები?*.....27
- *შესაძლებელია თუ არა რეგისტრაციის გარეშე, გამონაკლისი წესით ჩარიცხვა საბავშვო ბაღში?*.....27
- *როგორ ხდება ჩარიცხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში? სწავლა ფასიანია თუ უფასო?*.....28
- *როგორ ხდება ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში? სწავლა ფასიანია თუ უფასო?*.28
- *როგორ ხდება ჩარიცხვა პროფესიულ სასწავლებლებში? სწავლა ფასიანია თუ უფასო?*.....29
- *როგორ ხდება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება? მომსახურება ფასიანია თუ უფასო?*.....30
- *შესაძლებელია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების სერვისი მივიღო საქართველოში ჩამოუსვლელად? სად და როგორ?*.....31

თემა 7. ჯანმრთელობის დაცვა 31

- *რას მოიცავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და ვის შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით?*.....33
- *როგორ შეიძლება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა?*.....34
- *რა მომსახურებები არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში?*.....35
- *საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მედიკამენტები თუ ფინანსდება?*.....35
- *მუნიციპალიტეტებს თუ აქვთ ჯანდაცვის ეროვნული პროგრამებისგან განსხვავებული პროგრამები და რა სახის?*.....36

თემა 8. სახელმწიფო პენსია..... 36

- *საქართველოში რა ასაკიდან ხდება სახელმწიფო პენსიის დანიშვნა და რა არის ამისთვის საჭირო?*.....36
- *რამდენია სახელმწიფო პენსიის ოდენობა?*.....37
- *განცხადების წარდგენიდან რა დროში ხდება პენსიის დანიშვნა?*.....37
- *საზღვარგარეთ მყოფ საპენსიო ასაკის პირს თუ შეუძლია სახელმწიფო პენსიის დანიშვნა?*.....37

➢ *პენსიის დანიშვნის შემდეგ პირის საზღვარგარეთ წასვლის შემთხვევაში თუ ხდება პენსიის შეწყვეტა ან შეჩერება?*.....38
➢ *ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს თუ შეუძლია მოითხოვოს საქართველოში სახელმწიფო პენსიის დანიშვნა?*.....38
➢ *საქართველოში დასაქმების შემთხვევაში დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა სავალდებულოა? რამდენია საპენსიო დაზღვევის შენატანი?*.....39
➢ *შესაძლებელია დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გამოსვლა და გადახდილი თანხის დაბრუნება?*.....39
თემა 9. სოციალური დახმარების პროგრამები..... 40
➢ *რამდენია ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობის) ოდენობა?*.....41
➢ *რა სახის დახმარება გაიცემა მარჩენალდაკარგული პირებისთვის?*.....41
➢ *რა სახის დახმარება გაიცემა შშმ პირებისთვის?*.....42
➢ *ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში სახელმწიფო რა სახის დახმარებას გასცემს და რა ოდენობით?*.....43
➢ *საქართველოში თუ მოქმედებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების რაიმე სახელმწიფო პროგრამა?*.....43
➢ *მუნიციპალიტეტებში თუ მოქმედებს ეროვნულისგან განსხვავებული სოციალური პროგრამები და რომელი?*.....46
თემა 10. დასაქმების ხელშეწყობა..... 46
➢ *სახელმწიფო თუ ეხმარება მოქალაქეებს დასაქმებაში?*.....46
➢ *რა სახის მომსახურებას სთავაზობს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო სამუშაოს მაძიებლებს?*.....47
➢ *სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში რა სასწავლო კურსები ფინანსდება?*.....49
➢ *სახელმწიფოს მხრიდან როგორ ხდება მოწყვლადი და დაბალკონკურენტიანი სამუშაოს მაძიებლების (შშმ პირები, სოციალურად დაუცველი და დევნილი ახალგაზრდები) დასაქმების ხელშეწყობა?*.....49
➢ *რას გულისხმობს სოციალურად დაუცველ სამუშაოს მაძიებელთა საზოგადოებრივი სამუშაოებზე დასაქმება?*.....50
➢ *სოციალურად დაუცველ პირს დასაქმების შემთხვევაში ხომ არ შეუწყდება სოციალური დახმარება?*.....51
➢ *დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს გარდა ვის შეიძლება მივმართო დასაქმებაში დახმარებისთვის?*.....51
თემა 11. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების მიზნობრივი პროგრამები..... 52
➢ *საქართველოში დაბრუნების მსურველ მოქალაქეს დაბრუნებამდე თუ შეუძლია რაიმე სახის დახმარების მიღება? სად და როგორ?*.....52
➢ *საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების დახმარებისთვის თუ არსებობს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა? ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ პროგრამაში?*.....53
➢ *როგორ შეიძლება დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების*

სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა?.....54

- *რა სახის დახმარებას სთავაზობს სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა დაბრუნებულ მიგრანტებს?*.....54
- *როგორ ხდება სამედიცინო მომსახურებისა და/ან მედიკამენტების დაფინანსება სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამით და ამ დახმარების მისაღებად რა არის საჭირო?*.....55
- *რა შემთხვევაში ხდება დაბრუნებული მიგრანტის დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა?*.....56
- *რას გულისხმობს დაბრუნებული მიგრანტების პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა?*.....56
- *სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის ფარგლებში თუ ხდება დაბრუნებული მიგრანტებისთვის მცირე ბიზნესის მხარდაჭერა?*.....56
- *რა შემთხვევაში გაიცემა დაბრუნებული მიგრანტებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება და რა ოდენობით?*.....57
- *რას გულისხმობს დაბრუნებული მიგრანტი ბავშვებისთვის სპორტული/შემოქმედებითი/შემეცნებითი კურსების დაფინანსება?*.....58

დანართები **59**

დანართი 1. მიგრაცია: ძირითადი ტერმინები.....59

დანართი 2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების საკონტაქტოს ინფორმაცია (https://sda.gov.ge/?page_id=5872) 60

დანართი 3. იუსტიციის სახლების საკონტაქტო ინფორმაცია (https://psh.gov.ge/branches?locale=ka) 62

დანართი 4. შსს მომსახურების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია (https://www.sa.gov.ge/contact).....63

დანართი 5. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია.....63

დანართი 6. დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია 64

დანართი 7. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ - საკონტაქტო ინფორმაცია.....65

დანართი 8. სოფლის განვითარების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია.....65

დანართი 9. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია 66

დანართი 10. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საბავშვო ბაგა ბაღების გაერთიანების საკონტაქტო ინფორმაცია 66

დანართი 11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონტაქტო ინფორმაცია 67

დანართი 12. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკონტაქტო ინფორმაცია 67

დანართი 13. ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია.....68

დანართი 14. სოციალური მომსახურების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია.....68

დანართი 15. საპენსიო სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია 68
დანართი 16. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია 68
დანართი 17. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის IOM-ის საქართველოს მისიისა და მისი რეგიონული რესურს ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია 69

თემა 1. პირადი დოკუმენტები

- ***რა დოკუმენტებია საჭირო საქართველოს მოქალაქის საზღვარგარეთიდან საქართველოში დაბრუნებისთვის? სად შეიძლება ამ დოკუმენტების აღება? ფასიანია თუ უფასო?***

საქართველოს მოქალაქეს საქართველოში დასაბრუნებლად უნდა ჰქონდეს საქართველოს პასპორტი (ვადიანი), ან საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის საზღვარგარეთ აღებისათვის მოქმედებს შემდეგი პირობები:

- ***საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმყოფება საზღვარგარეთ და საქართველოში მიღებული აქვს პასპორტი ბიომეტრიული მონაცემებით, შეუძლია ისარგებლოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ონლაინ მომსახურებით,*** სააგენტოს ვებ-გვერდზე https://sda.gov.ge/?page_id=5319 ელექტრონული განაცხადის შევსების გზით. აღნიშნული მომსახურეობით სარგებლობის შემთხვევში პასპორტი დამზადდება 2 სამუშაო დღის ვადაში და მისი დამზადების საფასურია 300 ლარი.

- ***საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმყოფება საზღვარგარეთ და ერთხელ მაინც აქვს მიღებული პასპორტი ბიომეტრიული მონაცემებით, უფლებამოსილია მიიღოს ბიომეტრიული პასპორტი მინდობილი პირის მეშვეობით*** სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. აღნიშნული მომსახურებით პასპორტი შესაძლებელია დამზადდეს მე-10 სამუშაო დღეს (ღირებულება 230 ლარი) და მე-5 სამუშაო დღეს (ღირებულება 300 ლარი).

- საქართველოს მოქალაქემ, რომელიც იმყოფება საზღვარგარეთ და საქართველოში არ აქვს მიღებული პასპორტი ბიომეტრიული მონაცემებით, ***პირადად უნდა მიმართოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას*** და წარადგინოს განაცხადი. ამ შემთხვევაში ბიომეტრიული ***პასპორტი გაიცემა 45 კალენდარული დღის ვადაში. დოკუმენტის საფასურია 50 აშშ დოლარი.***

პასპორტი გაიცემა როგორც სრულწლოვან მოქალაქეზე, ისე არასრულწლოვან (18 წლამდე ასაკის) პირზე.

	დეტალურ ინფორმაციას ბიომეტრული პასპორტის შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ ვებ-გვერდზე: https://sda.gov.ge/?page_id=5319

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა არის უცხოეთიდან საქართველოში დასაბრუნებელი (გამოსამგზავრებელი) ერთჯერადი სამგზავრო დოკუმენტი.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა გაიცემა შემდეგ შემთხვევებში:

- ვადაგასული, დაკარგული, ან სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისთვის უვარგისი (იგულისხმება გაცვეთა ან დაზიანება) სამგზავრო დოკუმენტის სანაცვლოდ ან ასეთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში;

- ნებაყოფლობით დაბრუნების, საქართველოში დეპორტაციის ან რეადმისიის მიზნით;
- საგანგებო სიტუაციის არსებობის დროს, საქართველოს მოქალაქის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირის ოჯახის წევრების ჰუმანიტარული მიზნით საქართველოში გასამგზავრებლად;
- საქართველოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ან მის მიმართ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

დასაბრუნებელი მოწმობით პირი ბრუნდება მხოლოდ საქართველოში. ამ დოკუმენტით მოქალაქე სხვა ქვეყანაში გადაადგილებას ვერ შეძლებს. დასაბრუნებელი მოწმობის საფასური ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია (ძირითადად შეადგენს 35 აშშ დოლარს ან 34 ევროს).

საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს მოქალაქემ, ასევე საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის მისაღებად უნდა მიმართოს **საქართველოს საკონსულოს** მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში.

	საქართველოს საკონსულოების საკონტაქტო ინფორმაცია, ცალკეული ქვეყნების მიხედვით იხ. ვებ-გვერდზე: https://geoconsul.gov.ge/consular-offices

➢ *საქართველოში სად შეიძლება მოქალაქის პირადობის ელექრონული მოწმობისა და პასპორტის აღება და რამდენია მომსახურების საფასური?*

საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და პასპორტის ასაღებად პირმა უნდა მიმართოს ***სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან იუსტიციის სახლებს*** *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართებში 2 და 3).*

საქართველოს მოქალაქე ვალდებულია 14 წლის ასაკის მიღწევიდან 6 თვის ვადაში **აიღოს პირადობის ელექტრონული მოწმობა.** მოწმობის გაცემა შესაძლებელია 14 წლამდე ასაკის პირზეც, მისი კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში. ვალდებულება არ ვრცელდება საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე.

პირადობის ელექტრონული **მოწმობის აღების საფასური** შემდეგია:

მომსახურების ვადა	საფასური
მე-10 სამუშაო დღეს	60 ლარი
მე-5 სამუშაო დღეს	80 ლარი
მე-3 სამუშაო დღეს	100 ლარი
24 საათში	120 ლარი
იმავე დღეს	150 ლარი

	დეტალური ინფორმაცია ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://sda.gov.ge/?page_id=5090

საქართველოში ბიომეტრიული **პასპორტის აღების საფასური** სხვადასხვაა მომსახურების ვადის მიხედვით:

მომსახურების ვადა	საფასური
მე-10 სამუშაო დღეს	150 ლარი
მე-5 სამუშაო დღეს	180 ლარი
მე-3 სამუშაო დღეს	225 ლარი
24 საათში	300 ლარი
იმავე დღეს	350 ლარი

	დეტალურ ინფორმაცია ბიომეტრული პასპორტის შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: http://psh.gov.ge/main/page/1/8/9

	სერვისების განვითარების სააგენტოს ***ონლაინ მომსახურებით*** სარგებლობისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ შემდეგ ბმულს: https://sda.gov.ge/?page_id=4118

➢ *სად შეიძლება საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის ცნობის აღება და რამდენია საფასური?*

სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის ***ცნობას გასცემს საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო*** *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 4)*

ცნობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

3 სამუშაო დღეში ცნობის გაცემის ***საფასურია*** 30 ლარი, ხოლო 1 სამუშაო დღეში – 50 ლარი.

იმ შემთხვევაში, თუ ცნობა გაიცემა მესამე პირზე – საჭიროა აღნიშნულმა პირმა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წერილობითი თანხმობა ან მინდობილობა. თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია – იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სახელმწიფო *საზღვრის კვეთის შესახებ ცნობა მოქმედებს მისი დამზადებიდან 30 კალენდარული დღე.*

ცნობის მისაღებად განაცხადის გაკეთება შესაძლებელია როგორც **შსს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული სერვისების პორტალზე** (https://my.sa.gov.ge/auth) რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ასევე, სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში.

	საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის ცნობის შესახებ ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: https://www.sa.gov.ge/p/notice/border-crossing

➢ *სად შეიძლება ნასამართლობის ცნობის აღება და რამდენია საფასური?*

ცნობას ნასამართლობის შესახებ გასცემს შსს მომსახურების სააგენტო (საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 4). მასში აისახება ინფორმაცია ფიზიკური პირის ნასამართლობისა და ძებნის შესახებ.

ცნობის ასაღებად, დაინტერესებულმა პირმა მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში.

3 სამუშაო დღეში ცნობის გაცემის *საფასურია* 20 ლარი, ხოლო 1 სამუშაო დღეში – 40 ლარი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით, პირი, რომელსაც 70 000 ან 70 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა აქვს, თავისუფლდება საფასურის გადახდისაგან (3 სამუშაო დღე).

იმ შემთხვევაში, თუ ცნობა გაიცემა მესამე პირზე – საჭიროა აღნიშნულმა პირმა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, დაინტერესებული პირის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა ან მინდობილობა.

ნასამართლობის ცნობა მოქმედებს მისი დამზადებიდან 15 კალენდარული დღე.

ცნობის მისაღებად განაცხადის გაკეთება შესაძლებელია როგორც შსს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული სერვისების პორტალზე (https://my.sa.gov.ge/auth) რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ასევე, სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში.

	ნასამართლობის ცნობის შესახებ ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: https://www.sa.gov.ge/p/notice/person-conviction

➢ *სად ხდება სატრანსპორტო საშუალებებების მართვის მოწმობის აღება?*

სატრანსპორტო საშუალებებების მართვის ***მოწმობა გაიცემა საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოში*** ***(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 4).***

დეტალური ინფორმაცია, თუ რა სახის სატრანსპორტო საშუალებების სამართავად არის სავალდებულო შესაბამისი მართვის მოწმობის აღება, რა კატეგორიის მართვის მოწმობები გაიცემა საქართველოში, რა ასაკიდან, როგორია პროცედურები და ა.შ. შეგიძლიათ იხილოთ მომსახურების სააგენტოს ვებ. გვერდზე: https://www.sa.gov.ge/s/driver-license?Area=

➢ *საქართველოში აღებული მართვის მოწმობა თუ მოქმედებს საზღვარგარეთ?*

საქართველოში აღებული მართვის მოწმობა მოქმედებს საზღვარგარეთ, თუ ეს მოწმობა არის საერთაშორისო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო საერთაშორისო მართვის მოწმობას გასცემს ეროვნული მართვის მოწმობის საფუძველზე.

საერთაშორისო მართვის მოწმობის ასაღებად წარსადგენი დოკუმენტებია:

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
2. ეროვნული მართვის მოწმობა;

   * *თუ ეროვნული მართვის მოწმობა 2014 წლის 1-ელ მარტამდე არის გაცემული, მისი შეცვლა სავალდებულოა. შესაცვლელად საჭიროა დამატებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა;*

3. საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

საერთაშორისო მართვის მოწმობის აღების საფასურია 109 ლარი.

საერთაშორისო მართვის მოწმობა მზადდება და გაიცემა რამდენიმე წუთში.

საერთაშორისო მართვის მოწმობა გაიცემა მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში. ***აღნიშნული სერვისი დისტანციურად არ ხორციელდება.***

◈ საერთაშორისო მართვის მოწმობა გაიცემა ერთი წლის ვადით, ეროვნული მართვის მოწმობის საფუძველზე და დოკუმენტი მოქმედებს საქართველოს ფარგლებს გარეთ ჟენევის კონვენციის წევრ ქვეყნებში.

ჟენევის კონვენციის წევრი ქვეყნების ჩამონათვალი იხ. ბმულზე: https://shorturl.at/oDUTR

◈ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ვენის 1968 წლის 8 ნოემბრის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობა გაიცემა მომსახურების სააგენტოს მიერ, რომელიც მოქმედია 3 წლის ვადით. დოკუმენტი მოქმედებს საქართველოს ფარგლებს გარეთ ვენის კონვენციის წევრ ქვეყნებში.

ვენის კონვენციის წევრი ქვეყნების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: https://shorturl.at/meBqd

საქართველოში გაცემულ მართვის მოწმობას სხვა ქვეყნები აღიარებენ სხვადასხვა ვადით აღნიშნულ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე. ამასთან, შესაძლოა დამატებით იქნეს მოთხოვნილი რაიმე სახის დოკუმენტი. დასაზუსტებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს იმ ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენლობას, რომელ ქვეყანაშიც სურს საქართველოში გაცემული მართვის მოწმობით სარგებლობა.

ამასთან ერთად, კონკრეტულ სახელმწიფოსთან შეთანხმებით ხდება ეროვნული მართვის მოწმობის ურთიერთ აღიარება. ამ ეტაპზე ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმება ხელმოწერილია ირლანდიასთან, ესპანეთის სამეფოსა და საბერძნეთის რესპუბლიკასთან.

➢ *უცხოეთში აღებული მართვის მოწმობა თუ მოქმედებს საქართველოში? რა ვადით?*

უცხო ქვეყნის მართვის მოწმობის გამოყენება საქართველოში შესაძლებელია საზღვრის კვეთიდან ***ერთი წლის განმავლობაში.*** შემდეგ კი საჭიროა მისი შეცვლა.

➢ *როგორ ხდება უცხოეთში აღებული მართვის მოწმობის შეცვლა?*

საქართველოს მოქალაქემ ან ორმაგი მოქალაქობის მქონე პირმა, რომელსაც აქვს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ვადიანი მართვის მოწმობა, შესაცვლელად უნდა მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.

- იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს საზღვარგარეთ აღებული მართვის მოწმობის საქართველოში შეცვლა, აუცილებელია, რომ იგი მართვის მოწმობის გაცემის თარიღამდე ბოლო 12 თვის განმავლობაში მართვის მოწმობის გამცემ ქვეყანაში სულ მცირე 185 დღე იყოს ნამყოფი (ნაცხოვრები). ამასთან, უცხო ენაზე გაცემული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ქართულ ენაზე თარგმნილი და შესაბამისი წესით ნოტარიულად დამოწმებული.
- უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის შეცვლისას, უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული მართვის მოწმობის დასტური არ მიიღება თუ მისი გაცემიდან სააგენტოში წარდგენამდე გასულია 90 კალენდარული დღე.

აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება:

- იმ პირზე, რომელიც მართვის მოწმობის გაცემის მომენტისათვის იყო იმავე ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც გასცა მართვის მოწმობა და დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტის სააგენტოში წარდგენას;
- თუ შესაცვლელი მართვის მოწმობა გაცემულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ.

მართვის მოწმობის შეცვლის საფასურია 15 ლარი.
შეცვლილი მართვის მოწმობას შსს მომსახურების სააგენტო გასცემს რამდენიმე წუთში.

თემა 2. საცხოვრისით უზრუნველყოფა

- *დაბრუნებული მიგრანტებისთვის თუ არსებობს სახელმწიფოს მიერ საცხოვრისით უზრუნველყოფის რაიმე შესაძლებლობა?*

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი მიგრანტების ***დაბრუნებისთანავე, გამოკვეთილი საჭიროებების შემთხვევაში,*** ბენეფიციარის დროებითი საცხოვრისით და კვებით უზრუნველყოფას, მაგრამ არაუმეტეს 6 ღამით.

გამონაკლის შემთხვევებში, დამატებითი დახმარება შეიძლება გაეწიოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბენეფიციარებს. ასეთ შემთხვევებს განიხილავს სპეციალური კომისია.

საჭიროების შემთხვევაში დაბრუნებულმა მიგრანტმა უნდა მიმართოს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მმართველობის სისტემაში შემავალ სსიპ - **დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს** *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 6).*

- *საქართველოში თუ არსებობს სახელმწიფო ან მუნიციპალური პროგრამები მუდმივი ან დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიმართულებით და ვისზე ვრცელდება ეს პროგრამები?*

საქართველოში საცხოვრისით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამები ვრცელდება **იძულებით გადაადგილებულ პირებზე და ეკომიგრანტებზე.** შესაბამისად, საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტს იმ შემთხვევაში შეუძლია საცხოვრისით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვა, თუ იგი მიეკუთვნება აღნიშნული კატეგორიებიდან ერთ-ერთს და აკმაყოფილებს ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

დევნილთა და ეკომიგრანტთა განსახლების სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად დაბრუნებულმა მიგრანტმა უნდა მიმართოს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მმართველობის სისტემაში შემავალ სსიპ - **დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს** *(სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 6)*.

სახელმწიფო პროგრამა - "სუბსიდირებული იპოთეკური სესხი" გულისხმობს იპოთეკურ სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სუბსიდირებას 5 წლის მანძილზე.

და მიზნად ისახავს იპოთეკური კრედიტების სუბსიდირების გზით საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მრავალშვილიანი ან/და იმ ოჯახებისთვის, რომელთაც ყავთ ახალშეძენილი შვილი/შვილები.

პროგრამის პოტენციური ბენეფიციარები:

- ოჯახი/მარტოხელა მშობელი/ქვრივი თუ სესხის აღების მომენტში ჰყავს 2021 წლის 1 სექტემბრის შემდეგ დაბადებული 1 წლამდე ასაკის შვილი;
- ოჯახი/მარტოხელა მშობელი/ქვრივი, თუ სესხის აღების მომენტში ჰყავს 3 ან მეტი არასრულწლოვანი შვილი;
- ოჯახი/მარტოხელა მშობელი/ქვრივი, რომელსაც სესხის აღების მომენტში ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, რომლის აყვანა განხორციელდა 2021 წლის 1 სექტემბრის შემდეგ.

სესხის მიზნები:

- ბინის/სახლის შეძენა (როგორც დეველოპერისგან, ასევე კერძო პირისგან);
- სახლის აშენება.

სესხის მოცულობა:

- სესხის **მაქსიმალური ლიმიტია 200,000 ლარი.** ამასთან განსაზღვრულია, რომ სახლის ან/და ბინის ღირებულება შეიძლება აჭარბებდეს 200,000 ლარს.

პროგრამაში ჩართვის პროცესი:

1. ბანკთან კომუნიკაცია და საკრედიტო პროცედურების გავლა;
2. სესხის დამტკიცება;
3. ბანკის მიერ სააგენტოში განაცხადის გაგზავნა;
4. სააგენტოს მხრიდან სესხის მოთხოვნის დადასტურება;
5. სესხის გაცემა.

	სახელმწიფო პროგრამის "სუბსიდირებული იპოთეკური სესხი" შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე.

საქართველოში არსებობს ასევე *მუნიციპალური პროგრამები,* რომლებიც ითვალისწინებს ***სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, სხვადასხვა მიზეზების გამო უსახლკაროდ დარჩენილი და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებას.*** დახმარების პირობებსა და პროცედურებზე ოჯახმა უნდა მიმართოს იმ მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც არის რეგისტრირებული.

➢ *საქართველოში საცხოვრისის შეძენის ან რემონტის დაფინანსების რა ალტერნატიულ საშუალებები არსებობს?*

საცხოვრებლის (ბინა, კერძო სახლი) შესაძენად, გასარემონტებლად ან ასაშენებლად კომერციული **ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემენ იპოთეკურ სესხებს.**

იპოთეკური სესხის მისაღებად აუცილებელი წინაპირობაა მისი უზრუნველყოფა უძრავი ქონებით (საცხოვრებელი ბინა, სახლი, კომერციული ფართი, მიწის ნაკვეთი).

საცხოვრებლის რემონტისა თუ საყოფაცხოვრებო ნივთების, ასევე სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკისა თუ მობილური ტელეფონის შესაძენად ***შესაძლებელია სამომხმარებლო სესხის აღება.*** სამომხმარებლო სესხებს გასცემს თითქმის ყველა ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სესხით სარგებლობის პირობები განსხვავებულია.

იპოთეკური სესხის მაქსიმალური ოდენობა და სესხით სარგებლობის პირობები კომერციული ბანკების მიხედვით განსხვავებულია და შეიძლება ნახოთ კონკრეტული კომერციული ბანკის ვებ-გვერდზე:

- თი ბი სი ბანკი - https://www.tbcbank.ge
- საქართველოს ბანკი - https://bankofgeorgia.ge
- ლიბერთი ბანკი - https://libertybank.ge
- ბაზისბანკი - https://bb.ge/ge
- ხალიკ ბანკი - https://halykbank.ge

➢ *საქართველოში საცხოვრებელი ადგილის მისამართზე რეგისტრაცია სავალდებულოა? როგორ ხდება რეგისტრაცია მისამართის მითითების გარეშე?*

საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრები უცხოელი ვალდებულნი არიან, გაიარონ რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მათ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი აქვთ – ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. **პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი საცხოვრებლად ირჩევს.**

რეგისტრაციისათვის (მათ შორის, თუ მისამართზე რეგისტრაცია ხორციელდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემასთან ერთად) საქართველოს მოქალაქემ და საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირმა ***უნდა მიმართონ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს*** იმ ტერიტორიულ სამსახურს, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც განეკუთვნება საცხოვრებელი მისამართი.

- ახალშობილი საქართველოს მოქალაქის დაბადების რეგისტრაციისას ხორციელდება მისი მისამართზე რეგისტრაცია ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
- 14 წლის ასაკს მიღწეული პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაცია ხორციელდება აღნიშნული პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.
- იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი პირი რეგისტრირდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მისამართისგან განსხვავებულ მისამართზე, აუცილებელია ერთ-ერთი მშობლის თანხმობისა და მისამართზე რეგისტრაციის საფუძვლის წარმოდგენა.

პირი, რომელიც არ ცხოვრობს მიწასთან მყარად დაკავშირებულ, ადამიანთა ხანგრძლივი დროით სამყოფად გამიზნულ შენობაში ან ცხოვრობს შენობაში, რომლის მისამართის

იდენტიფიცირება შეუძლებელია, მისამართის მითითების გარეშე რეგისტრაციას გაივლის იმ დასახლებული პუნქტის მიხედვით, სადაც იგი იმყოფება.

თუ არასრულწლოვანი პირის დაბადების რეგისტრაციისას მისი ორივე მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი რეგისტრირებულია ***მისამართის მითითების გარეშე,*** არასრულწლოვანი პირის რეგისტრაცია ხორციელდება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თუ დაბადების რეგისტრაციის დროს არასრულწლოვანი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციისას მას არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ არის რეგისტრირებული, არასრულწლოვანი პირის რეგისტრაცია ხორციელდება მისამართის მითითების გარეშე. განცხადება-ანკეტასა და სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში მიეთითება პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).

მისამართის მითითების გარეშე პირის რეგისტრაცია ძალაშია რეგისტრაციის თარიღიდან 6 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ პირი ითვლება რეგისტრაციიდან მოხსნილად, რაც პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის მოქმედების შეჩერების საფუძველია. პირი ვალდებულია რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ ხელახლა გაიაროს რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მისამართზე რეგისტრაცია უფასოა.

პირის მისამართზე რეგისტრაციას და რეგისტრაციიდან მოხსნას ახორციელებენ ***სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს*** ტერიტორიული *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 2)*.

თემა 3. ქონების რეგისტრაცია

- *[რა სახის ქონების რეგისტრაციაა საჭირო და სად ხდება მისი რეგისტრაცია?]*

საქართველოში რეგისტრაციას ექვემდებარება უძრავი და მოძრავი ქონება.

უძრავ ქონებას მიეკუთვნება:

- ✓ მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე;
- ✓ შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული);
- ✓ შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული);

უძრავი ქონების რეგისტრაცია მოიცავს:

- მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციას;
- მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას;
- ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას;
- იჯარის უფლების რეგისტრაციას;
- იპოთეკის უფლების რეგისტრაციას.

იმისთვის, რომ ქონებაზე დაინტერესებულ პირს წარმოეშვას საკუთრების უფლება, ***სავალდებულოა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში*** *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 5)*.

უძრავი ქონების (მიწის, შენობის, ნაგებობის) **რეგისტრაცია შესაძლებელია ასევე იუსტიციის სახლებში** *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 3)*.

➢ *უძრავი ქონების (მიწის, შენობის, ნაგებობის) რეგისტრაცია ფასიანია თუ უფასო?*

უძრავი ქონების რეგისტრაციას, მაქსიმუმ 4 სამუშაო დღე ჭირდება და მომსახურების ტარიფი 150 ლარია. ასევე შესაძლებელია დაჩქარებული მომსახურება:

- რეგისტრაცია 1 სამუშაო დღეში - 270 ლარი,
- განცხადების შეტანის დღეს - 350 ლარი.

თუ მესაკუთრეს რეგისტრაციის განხორციელება სურს არა პირადად, არამედ წარმომადგენლის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

მიწის ნაკვეთის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მოქალაქეები ***საფასურის გადახდის გარეშე*** მიიღებენ შემდეგ მომსახურებებს:

- მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები;
- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია;
- გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;
- სანოტარო მედიაცია;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება;
- ფაქტების კონსტატაცია;
- მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან იდენტურობის დადგენა;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების და მასში ცვლილების რეგისტრაცია.

სისტემური რეგისტრაციის გარეშე, ე.წ. ***სპორადული წესით (დაინტერესებული პირის განცხადებისა და მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე) მიწის რეგისტრაცია ფასიანია*** და შეადგენს:

- სასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების ან მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია და დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების დაზუსტება/ცვლილება – **3 თვის ვადაში – 300 ლარი;**
- თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში, საკუთრების უფლების აღიარებით უფლების რეგისტრაცია – 3 თვის ვადაში – 600 **ლარი.**

დატალური ინფორმაციის მიღება უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და იუსტიციის სახლებში.

➢ *თვითნებურად დაკავებული მიწის რეგისტრაცია თუ ხდება?*

თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია **შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო,** რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს აღიარებითი კომისიის მეშვეობით, შეისწავლის ვითარებას და გასცემს ან არ გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას.

უკვე აღიარებული მიწის საკუთრების რეგისტრაცია შესაძლებელია იუსტიციის სახლში და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

➢ *როგორ ხდება მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების აღიარება და რეგისტრაცია?*

იმისათვის, რომ მემკვიდრეობის საფუძველზე კონკრეტულ ქონებაზე წარმოიშვას საკუთრების უფლება, აუცილებელია ნოტარიუსის მიერ გაიცეს **სამკვიდრო მოწმობა,** რომელიც შეიძლება იყოს გაცემული ან კონკრეტულ ქონებაზე/ქონებებზე ან/და ე.წ ზოგადი ხასიათის. ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობა გაიცემა როგორც კანონით მემკვიდრეზე, ასევე ანდერძის არსებობის შემთხვევაში.

სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ხდება **საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.** მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება მემკვიდრეს (ახალ მესაკუთრეს) თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს (გაყიდოს, გააჩუქოს, იპოთეკით დატვირთოს და ა.შ.) მის საკუთრებაში მემკვიდრეობის საფუძველზე გადასული ქონება.

მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის დაინტერესებულმა პირმა/მემკვიდრემ უნდა მიმართოს იუსტიციის სახლის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ოფისს.

- *<u>რა შემთხვევაშია საჭირო იჯარის უფლების რეგისტრაცია?</u>*

იჯარის უფლების წარმოშობისთვის სავალდებულოა ამ უფლების ***რეგისტრაცია საჯარო რეესტრში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იჯარის ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარე არის კერძო სამართლის იურიდიული პირი*** (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხიმგებლობის საზოგადოება, კოოპერატივი და არასამეწარმეო იურიდიული პირი) **და ხელშეკრულება დადებულია ერთ წელზე მეტი ვადით** (მათ შორის, თუ დადებულია მცირევადიანი ხელშეკრულებები და მათი საერთო ვადა აღემატება 1 წელს).

სხვა შემთხვევაში იჯარის უფლების წარმოშობისთვის სავალდებულო არ არის ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

- *<u>საქართველოში უცხოეთიდან შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალება თუ ექვემდებარება რეგისტრაციას, რა ვადაში და სად?</u>*

ქვეყნის ფარგლებს გარედან ***საქართველოში რეგისტრაციის მიზნით შემოყვანილი*** მექანიკური სატრანსპორტო საშუალების **დარეგისტრირება უნდა მოხდეს 60 დღის განმავლობაში.**

ქვეყანაში 90 დღეზე მეტი ვადით შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალების დროებითი რეგისტრაცია ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, მიუხედავად საცხოვრებელი თუ იურიდიული მისამართისა ***(შსს მომსახურების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 4)***.

თემა 4. სამეწარმეო საქმიანობა

- *<u>რომელი საქმიანობა მიეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობას?</u>*

სამეწარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა.

სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური მეწარმის ან სამეწარმეო საზოგადოების ფორმით (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი).

სამეწარმეო საქმიანობად არ მიიჩნევა:

- ✓ ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო, საარბიტრაჟო, სამედიატორო, სანოტარო, აუდიტორული ან საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა, აგრეთვე ფიზიკური პირების ან იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების

მიერ ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- ✓ ფიზიკური პირების სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის განსახორციელებლად მუდმივად დასაქმებულია 5 პირი მაინც, რომელიც არ არის წარმოების მფლობელის ოჯახის წევრი. ასეთ შემთხვევაში საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელია მეწარმის სამართლებრივი ფორმის დაფუძნება.

➢ *სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია სავალდებულოა? სად ხდება რეგისტრაცია? ფასიანია თუ უფასო?*

მეწარმის რეგისტრაცია ინდივიდუალური მეწარმის ან სამეწარმეო საზოგადოების ფორმით (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი) ***სავალდებულოა.***

საქმიანობის კონკრეტული სახეები, რომელთა რეგისტრაცია სავალდებულოა შეგიძლიათ იხ. საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე: https://www.napr.gov.ge/ka/single-page/activities-requiring-registration

მეწარმის რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ***(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 5)***. რეგისტრაცია შესაძლებელია ასევე **იუსტიციის სახლებში** ***(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 3)***.

სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია ფასიანია.

ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის საფასურია:

- ✓ ერთი სამუშაო დღის ვადაში – 26 ლარი;
- ✓ განცხადების შეტანის დღეს – 75 ლარი.

სამეწარმეო საზოგადოების ფორმით (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი) **რეგისტრაციის საფასურია:**

- ✓ ერთი სამუშაო დღის ვადაში – 200 ლარი;
- ✓ განცხადების შეტანის დღეს – 400 ლარი.

- *საჭიროა თუ არა სამეწარმეო საქმიანობის საგადასახადო რეგისტრაცია შემოსავლების სამსახურში?*

მეწარმის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო რეგისტრაციას, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. შესაბამისად, **შემოსავლების სამსახური საგადასახადო რეგისტრაცია საჭირო არ არის.**

თემა 5. ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები

- *ბიზნესის მხარდასაჭერად რა პროგრამებს ახორციელებს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“?*

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სისტემაში შემავალი სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 7)*, 2024 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით, ახორციელებს ბიზნესის მხარდამჭერ შემდეგ პროგრამებს:

- ✓ **მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა** - პროგრამის მიზანია საქართველოში მიკრომეწარმეობის ხელშეწყობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და სამეწარმეო პოტენციალის ზრდა. პროგრამის კომპონენტებია: მეწარმის ბიზნეს დიაგნოსტიკა; კომერციული ბანკის/მიკრობანკის მიერ გაცემული სესხის გარანტია; კომერციული ბანკის/მიკრობანკის მიერ გაცემული სესხის სუბსიდირება. *დეტალური ინფორმაცია ამ პროგრამის შესახებ იხ. გმულზე.*

- ✓ **ბიზნეს უნივერსალი** - პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოვების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის საშუალებით. *დეტალური ინფორმაცია ამ პროგრამის შესახებ იხ. გმულზე:* https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development/Business-Universal .

- ✓ **ტურიზმის განვითარება** - პროგრამის მიზანია ქვეყნის ტურიზმის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისების განვითარება და ფინანსური ხელშეწყობა. *დეტალური ინფორმაცია ამ პროგრამის შესახებ იხ. გმულზე.*

- ✓ **საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი** - საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი გულისხმობს ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საკრედიტო გარანტიის გაცემას, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. *დეტალური ინფორმაცია ამ პროგრამის შესახებ იხ. გმულზე.*

➢ *სოფლის მეურნეობისა და აგრარული ბიზნესის მხარდაჭერის რა პროგრამებია საქართველოში და ვინ ახორციელებს?*

2024 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით, ხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერი შემდეგი პროგრამები:

- ✓ **„ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“** - პროგრამის მიზანია ქვეყნის მასშტაბით ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ხელშეწყობა, თანამედროვე კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვის გზით, ახალი სასათბურე მეურნეობების მოსაწყობად საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობით, სათბურში წარმოებული პროდუქციის მოცულობის გაზრდა, მათ შორის არასეზონურ პერიოდში.
  პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

  (პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე.)

- ✓ **ირიგაციით უზრუნველყოფილ მიწის ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა** - პროგრამის მიზანია წყლით უზრუნველყოფილ არეალებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველადი წარმოების ხელშეწყობა, სოფლად ეკონომიკის განვითარება, კონკურენტუნარიანი, დივერსიფიცირებული და მდგრადი გარემოს შექმნა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის გზით

  პროგრამა ხორციელდება „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ ფარგლებში უკვე რეაბილიტირებული ზედა რუს სარწყავი სისტემითა და ქვემო სამგორის მარჯვენა მაგისტრალური არხის G1-G32 გამანაწილებლებით წყალუზრუნველყოფილ სამიზნე არეალებში.

  (პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე.)

- ✓ **მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა** - პროგრამის მიზანია, თანადაფინანსების გზით, ხელი შეუწყოს მაღალმთიან დასახლებებში კერძო სექტორის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოახდინოს ახალგაზრდა მეწარმეებისა და ეკონომიკური აქტივობის ზრდის სტიმულირება.
  პროგრამა ხორციელდება საქართველოს მაღალმთიან დასახლებებში.

  (პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე)

- ✓ **მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა** - პროგრამა გულისხმობს საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ფუტკრის მოვლა-შენახვის მდგომარეობის ნორმალიზაცია და წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა, ასევე თაფლის მწარმოებლებისთვის მდგრადობის ხელშეწყობა და წარმოების მართვის პროცესების გაუმჯობესება.
  პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

  (პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე)

- ✓ **მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა** - პროგრამა გულისხმობს მეფუტკრეობის მიმართულებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსურ მხარდაჭერას.

  (პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე)

- ✓ **ინოვაციური ტექნოლოგიების საგრანტო პროგრამა** - პროგრამის მიზანია ფერმერთა ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში მყოფი მცირე ზომის ფერმერების პროდუქტიულობისა და შემოსავლის გაზრდის მხარდასაჭერად, სხვადასხვა ინოვაციური ტექნოლოგიების გაძლიერებისა და დანერგვის გზით (სტარტაპ პროექტების განხორციელების ხელშეწყობა).

  პროგრამა განხორციელდება იმერეთის რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

  (პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე)

- ✓ **არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა** - ითვალისწინებს მეხილეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, არასტანდარტული ვაშლის გადამამუშავებელ კომპანიებზე რომლებიც 2024 წლის 15 დეკემბრამდე 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლს შეისყიდიან არანაკლებ 0.25 ლარად, გასცემს სუბსიდიას 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლზე - 0.10 ლარის ოდენობით.

  (პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე)

- ✓ **მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა** - პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსავლის ამღებ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე (ნებისმიერი ტიპის მოსავლის ამღები ტექნიკა როგორც თვითმავალი, ასევე მისაბმელი და ჩაის ხელის საკრეფი) ხელმისაწვდომობის გაზრდა (თანადაფინანსების გზით).

  (პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე)

- ✓ **მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა** - პროგრამის“ მიზანია მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა თანადაფინანსების გზით.
  (პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე)

- ✓ **აგროდაზღვევა** - ითვალისწინებს აგროდაზღვევას სტიქიური მოვლენებისგან (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვები (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისთვის - 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში). თითოეული დამზღვევი 70% -იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე

  (*პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე*)

- ✓ **შეღავათიანი აგროკრედიტი** - ითვალისწინებს სოფლად საქმიანობის დაწყება/განვითარებისთვის სესხის პროცენტის თანადაფინანსებას.

  (*პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე*)

- ✓ **თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა** - პროგრამის მიზანია საქართველოში თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობა თხილის ბაღების მესაკუთრეების ან/და მფლობელების სტიმულირების გზით (შენიშვნა: პროგრამაზე რეგისტრაცია ამჟამად დასრულებულია)

  (*პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე*)

- ✓ **დანერგე მომავალი** - მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსება; სანერგე მეურნეობების თანადაფინანსება; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსება; სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ნერგების დაფინანსება

  (*პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე*)

- ✓ **ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** - ითვალისწინებს არაბიომეურნეობიდან ბიომეურნეობაზე გადასვლისას გაწეული ხარჯის ანაზღაურებას.

  (*პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე*)

- ✓ **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების პროგრამა** - თუ წარმოადაგენთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს და სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტების/პროგრამების ფარგლებში გაშენებული გაქვთ ლურჯი მოცვის ან/და მაყვლის ან/და ჟოლოს ბაღი შესაძლებლობა გაქვთ თანადაფინანსება მიიღოთ კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების მოწყობისთვის.

  (*პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე*)

- ✓ **ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამა** - პროგრამის მიზანია მოსახლეობის მოთხოვნის სტიმულირება ენერგოეფექტური ღუმელების შეძენის მიზნით.

  პროგრამა ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა).

  (*პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე*)

- ✓ **ტექნიკური დახმარების პროგრამა** - თუ ხართ ჩართული სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებში და გსურთ თქვენ მიერ წარმოებული პროდუქციის/მომსახურების კონკურენტუნარიანობის გაზრდა როგორც შიდა, ისე უცხოურ ბაზრებზე, სახელმწიფო გთავაზობთ მხარდაჭერას შემდეგი მიმართულებებით: საკონსულტაციო მომსახურება და ტრენინგები; პროდუქციის ბრენდირება და შეფუთვა; სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვა; ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებელი ან/და გადამამუშავებელი ბიზნეს ოპერატორის აღიარების მინიჭება.

  (*პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე*)

- ✓ **ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა** - ითვალისწინებს თანადაფინანსებას გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის.

  (*პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე*)

- ✓ **საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა** - პროექტის მიზანია საპილოტე რეგიონებში (იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხული და ქვემო სვანეთი) ახალი საწარმოების შექმნის, ასევე არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების მხარდაჭერა.

  (*პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გმულზე*)

სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერ პროგრამებს ახორციელებს **სოფლის განვითარების სააგენტო** ***(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 8)***.

➢ *ტურიზმის მიმართულებით თუ ხდება ბიზნესის მხარდაჭერა?*

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს ტურიზმის მხარდამჭერ პროგრამას, რომლის მიზანია ქვეყნის ტურიზმის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისების განვითარება და ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამის კომპონენტებია:

- ✓ თანადაფინანსების მექანიზმი;
- ✓ სასტუმრო/ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია;
- ✓ ეკო და აგრო ტურისტული ინდუსტრია;
- ✓ ტურისტული სერვისების ინდუსტრია.

(დეტალური ინფორმაცია პროგრამისა და ცალკეული კომპონენტების შესახებ იხ. გმულზე)

➢ *ინოვაციური იდეების განსახორციელებლად თუ არის სახელმწიფო პროგრამები და რომელი უწყება ახორციელებს?*

ინოვაციების მხარდამჭერ პროგრამებს ახორციელებს **საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო** ***(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 9)***. პროგრამები, 2024 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით:

- ✓ **ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამა** - პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს.
  (დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხ. გმულზე)
- ✓ **3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამა** - ითვალისწინებს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის (GENIE) ფარგლებში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ბაზარზე არსებულ ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად პროფესიებში კვალიფიციური კადრების მომზადებას
  (დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხ. გმულზე)

- ✓ **სტარტაპ მეგობრული,** რომლის მიზანია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინოვატორების და სტარტაპების სწრაფი განვითარების ხელშესაწყობად.

  (დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხ. ბმულზე)

- ✓ **სტარტაპ ბითსი,** რომლის ფარგლებში ხორციელდება რეგულარული შეხვედრები, სადაც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, მათ შორის წარმატებული სტარტაპერები გამოცდილებას უზიარებენ დამსწრე საზოგადოებას.

  (დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხ. ბმულზე)

- ✓ **IT ტრენინგები** - ტრენინგები IT დისტანციური მხარდაჭერის, VOIP, Front-End, Java, Python, PHP, Android, iOS პროგრამირების, IT პროექტების და მათი ხარისხის მართვის, ასევე კიბერ უსაფრთხოების მიმართულებით.

  (დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხ. ბმულზე)

- ✓ **IT სპეციალისტები** - IT სპეციალისტების ერთიან ბაზაში გაერთიანება, მათი დასაქმების ხელშეწყობა და კომერციალიზაცია.

  (დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხ. ბმულზე)

- ✓ **გრაფიკული დიზაინის კურსი საქართველოს რეგიონებში**

  (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე)

- ✓ **ტრენინგ პროგრამა ონლაინ სწავლებისთვის.** პროგრამა მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას და ეხება თემას „როგორ შევქმნათ სტარტაპი“.

  (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე)

- ✓ **Front end web development - საბაზისო კურსი**. პროგრამა განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისთვის 8-12 კლასელებისთვის. პროგრამის ფარგლებში მათ შესაძლებლობა ექნებათ ისწავლონ პროგრამირების საწყისები Front end development HTML, CSS და შექმნან მინი პროექტი.
  (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე)

- ➢ ***მუნიციპალიტეტებს თუ აქვთ ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები?***

საქართველოში ადგილობრივ მუნიციპალიტეტების ნაწილი ახორციელებს ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებს. ამასთან, მუნიციპალური პროგრამები ყოველწლიურად მტკიცდება.

შესაბამისად, დაინტერესებული პირი ინფორმაციის მისაღებად უნდა ეწვიოს იმ მუნიციპალიტეტს, სადაც არის რეგისტრირებული ან მოიძიოს ინფორმაცია კონკრეტული მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

თემა 6. განათლება

- *რა ასაკიდან ხდება მუნიციპალურ საბავშვო ბაგა-ბაღში ჩარიცხვა და როგორია პროცედურები?*

საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება (საბავშვო ბაგა-ბაღი, საბავშვო ბაღი) შეიძლება იყოს მუნიციპალური ან კერძო.

მუნიციპალურ საბავშვო ბაგაში მიღება ხდება 2 წლის ასაკიდან, საბავშვო ბაღში - 3 წლის ასაკიდან.

მუნიციპალურ საბავშვო ბაღში მისაღებად საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია კონკრეტული მუნიციპალიტეტების სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში (მუნიციპალიტეტების მიხედვით გაერთიანების სახელწოდება განსხვავებულია). საჭირო საბუთები (დაბადების მოწმობის ასლი, ფოტოსურათი (ბიომეტრიული), ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები და სხვ.) მშობელმა უნდა წარადგინოს შესაბამის ბაღში.

რეგისტრაციის პროცედურები, თარიღები და საბავშვო ბაღებში წარსადგენი დოკუმენტაცია მუნიციპლაიტეტების მიხედვით განსხვავებულია. ამიტომ მშობელი უნდა დაუკავშირდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებას (გაერთიანება, სააგენტო, საბავშვო ბაღი).

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საბავშვო ბაგა ბაღების გაერთიანების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 10.

სხვა კონკრეტული მუნიციპალიტეტების სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების / საბავშვო ბაღების გაერთიანების საკონტაქტო ინფორმაციების მოძიება შესაძლებელია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე.

კერძო საბავშვო ბაღებში ჩარიცხვა შესაძლებელია მთელი სააღმზრდელო წლის განმავლობაში, ბაღის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

- *შესაძლებელია თუ არა რეგისტრაციის გარეშე, გამონაკლისი წესით ჩარიცხვა საბავშვო ბაღში?*

რეგისტრაციის ვადაში მშობელი თუ ვერ მოახერხებს დარეგისტრირებას, სასურველ ბაღში უნდა დაწეროს განცხადება და ჩაეწეროს სარეზერვო სიაში. კონკრეტული ბაღი განიხილავს სარეზერვო სიიდან ბავშვის ბაღში ჩარიცხვის საკითხს.

➢ *როგორ ხდება ჩარიცხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში? სწავლა ფასიანია თუ უფასო?*

საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს:

1. დაწყებითი განათლება (1-6 კლასები);
2. საბაზო განათლება (7-9 კლასები);
3. საშუალო განათლება (10-12 კლასები).

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ***მინიმალური ასაკი 6 წელია.***

დაწყებითი და საბაზო განათლება საქართველოში სავალდებულოა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის **პირველ კლასში ჩარიცხვა ხორციელდება ელექტრონული რეგისტრაციის წესით**. როგორც წესი, რეგისტრაცია იწყება მოცემული წლის მარტის თვეში და ხორციელდება ოთხ ეტაპად. რეგისტრაციის პირობებსა და წესებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 11)*.

	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში რეგისტრაციის წესებსა და პროცედურებზე დეტალური ინფორმაცია იხილეთ დოკუმენტში: http://mes.gov.ge/uploads/pirvelklaselta%20registracia.pdf

საჯარო სკოლებში სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, კერძო სკოლებში სწავლება ფასიანია და წელიწადში 6-12 ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს.

ზოგადი განათლების მიღება შეიძლება ექსტერნატის ფორმითაც. ექსტერნატის ფორმით ამა თუ იმ საფეხურზე ზოგადი განათლების მიღება ითვალისწინებს პირის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/ სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამოუკიდებლად დაძლევას. ექსტერნატის ფორმით მიღებული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია აკრედიტებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან. *ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესებსა და პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო .*

➢ *როგორ ხდება ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში? სწავლა ფასიანია თუ უფასო?*

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. 2024-2025 სასწავლო წელს **ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე** გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა წელიწადში შეადგენს:

- სრული ოდენობა - **2 250 ლარი.**
- სრული ოდენობის 70% - არაუმეტეს **1575 ლარისა;**
- სრული ოდენობის 50% - არაუმეტეს **1125 ლარისა**

ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სტუდენტის **კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შემთხვევაში,** ამ დაწესებულების მიერ დადგენილ სწავლის საფასურს სახელმწიფო ფარავს მხოლოდ სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის ფარგლები.

	ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo

➢ *როგორ ხდება ჩარიცხვა პროფესიულ სასწავლებლებში? სწავლა ფასიანია თუ უფასო?*

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად აცხადებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში ***სწავლის მსურველთა რეგისტრაციას.***

პროფესიული განათლების მიღების მსურველს რეგისტრაციის გავლა შეუძლია საქართველოს მასშტაბით მოქმედ საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ იმ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, რომლებსაც გამოცხადებული აქვთ მიღება. ასევე, ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს დარეგისტრირდეს ონლაინ, შემდეგ ვებგვერდზე - vet.emis.ge

	განათლების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით იხ. აქ: https://www.mes.gov.ge/content.php?id=207&lang=geo

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსებით ჩარიცხვის მიზნით, საჭიროა რეგისტრაცია და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული ეტაპ (ებ)ის გავლა:

- სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება;
- დამსაქმებლის მიერ ორგანიზებული კონკურსი (სამუშაოზე დაფუძნებულ/დუალურ პროგრამებზე სწავლის უფლების მოპოვებისთვის);
- მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებული შიდა კონკურსი/შერჩევა.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში/კოლეჯებში სწავლება **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით (ხანგრძლივობა 1-2 წელი) სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, მომზადების და გადამზადების პროგრამები (მოკლევადიანი) კი ფასიანია** (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სწავლება ფინანსდება „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში).

დეტალური ინფორმაცია სასწავლო პროგრამების, კოლეჯების, სწავლის ხანგრძლივობისა და დაფინანსების შესახებ იხ. ბმულზე: https://vet.emis.ge/#/

	ინფორმაცია საქართველოში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ იხ. აქ: https://mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo

➢ *როგორ ხდება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება? მომსახურება ფასიანია თუ უფასო?*

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება მოიცავს:

- ✓ უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების ან სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებას;
- ✓ პროფესიული განათლების აღიარებას;
- ✓ აკადემიური კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარებას.

აღიარებას არ ექვემდებარება:

- ✓ სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღი).
- ✓ რეზიდენტურაში მიღებული განათლება.
- ✓ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ - **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი** *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 12)*.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ამოწმებს:

- გაცემულია თუ არა საგანმანათლებლო დოკუმენტი იმ პირის სახელზე, რომელიც მითითებულია ამ დოკუმენტში;
- არის თუ არა დოკუმენტის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება აღიარებული იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ეს დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას (ნამდვილობის დადასტურება);
- ადგენს საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობას. ცენტრის **მომსახურება ფასიანია.**

	ინფორმაცია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით წარსადგენი დოკუმენტების, მომსახურების ვადისა და ღირებულების შესახებ იხ. ბმულზე: https://eqe.ge/ka/page/static/213/utskhoetshi-mighebuli-ganatlebis-aghiareba

- ***შესაძლებელია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების სერვისი მივიღო საქართველოში ჩამოუსვლელად? სად და როგორ?***

განმცხადებლებს აქვთ საშუალება, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ფიზიკური პირებისათვის განკუთვნილ სერვისებზე მიმართვა განახორციელონ ელექტრონული ფორმით, ცენტრში მოუსვლელად, პორტალზე: https://www.my.gov.ge/ka-ge/services/18.

პორტალი საშუალებას იძლევა სახლიდან გაუსვლელად, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან საქართველოს მოქალაქეებმა, **რომლებიც ფლობენ ახალ პირადობის მოწმობას და მის წამკითხველ მოწყობილობას, ასევე ელექტრონულ ხელმოწერას, ცენტრის სერვისებით სარგებლობის თაობაზე განაცხადი გააკეთონ ელექტრონულად და პასუხიც მიიღონ ელექტრონული ფორმით.**

ელექტრონული მომსახურების ფორმა ეხება შემდეგ სერვისებს:

- ✓ საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება;
- ✓ დევნილის მიერ მიღებული განათლების აღიარება;
- ✓ ლიკვიდირებულ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება;
- ✓ ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარება;
- ✓ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება.

პორტალზე ავტორიზაციისათვის ინსტრუქცია იხილეთ მითითებულ ლინკზე: https://id.ge/download/

თემა 7. ჯანმრთელობის დაცვა

- ***ჯანმრთელობის დაცვის რა სახელმწიფო პროგრამებია საქართველოში?***

საქართველოში 2024 წელს მოქმედებს:

1. **საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა**
2. **ჯანდაცვის შემდეგი მიზნობრივი პროგრამები:**

✓ **დიაბეტის მართვა** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/1015);

✓ **C ჰეპატიტის მართვა** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/c-hepatiti)

✓ **აივ-ინფექია/შიდსის მართვა** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/shidsi);

- ✓ **ფსიქიკური ჯანმრთელობა** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/fsiqikuri-janmrteloba);
- ✓ **დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/dializi-da-tirkmlis-transplantacia);
- ✓ **თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/Tavdacvis-dzalebshi-gasawvev-moqalaqeta-shemowmeba);
- ✓ **ტუბერკულოზის მართვა** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/tuberkulozis-martva);
- ✓ **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/dedata-da-bavshvta-janmrteloba);
- ✓ **ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/narkomaniit-daavadebul-pacientta-mkurnaloba)
- ✓ **ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა** (ინკურაბელური - განუკურნებელი) (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/inkurabelur-pacientta-paliatiuri--mzrunveloba)
- ✓ **სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება და სასწრაფო სამედიცინო დახმარება** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/specdafinansebaze-myofi,-dawesebulebebis-mier,-shesabamisi-ambulatoriuli-da-stacionaruli-momsaxurebis-miwodeba-da-saswrafo-samedicino-daxmareba);
- ✓ **რეფერალური მომსახურება** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/referaluri-momsaxureba);
- ✓ **იშვიათი დაავადების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/ishviati-daavadebis-mqone-da-mudmiv-chanacvlebit-mkurnalobas-daqvemdebarebul-pacientta-mkurnaloba)
- ✓ **ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/COVID_19_management) ;
- ✓ **სპეციფიკური მედიკამენტების უზრუნველყოფა** (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/12354) ;
- ✓ ორგანოთა ტრანსპლანტაცია (ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია) (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/c/organota-transplantacia,-dzvlis-tvinis-da-gvidzlis)

გარდა აღნიშნულისა, მოქმედებს მედიკამენტების სახელმწიფო პროგრამა:

- **ცენტრალიზებულად შესყიდული (ფარმაცევტულ კომპანიებთან პირდაპირი მოლაპარაკების გზით შესყიდული) ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტები**

  მედიკამენტების ჩამონათვალი იხილეთ აქ: https://nha.moh.gov.ge/ge/c/medicines

- **საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები**
  მედიკამენტების ჩამონათვალი იხილეთ აქ: https://nha.moh.gov.ge/ge/c/medicines

პროგრამებს ახორციელებს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სისტემაში შემავალი სსიპ - **ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო** *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 13).*

➢ *რას მოიცავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და ვის შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით?*

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა მოიცავს: გადაუდებელ და გეგმურ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებებს.

მოსარგებლენი არიან:

1. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები; ასევე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი პირები, ***რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:***

   i. პირები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ 70 000-დან-100 000 სარეიტინგო ქულა;

   ii. 6-დან 17 წლის (ჩათვლით) ასაკის პირები;

   iii. წლიური 40,000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პირები;

   iv. თვიური 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ან სხვ. პირები.

პროგრამით გათვალისწინებული სრული მომსახურებით ისარგებლებენ ***საპენსიო ასაკის პირები,*** მათი შემოსავლისა და დაზღვევის სტატუსის მიუხედავად.

2. ***ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები;***
3. ***ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ყოფილი მოსარგებლეები,*** რომელთა სამედიცინო მომსახურების პირობები განსაზღვრულია დანართი N1.3-ის მე-2 პუნქტით (ასაკობრივი ჯგუფი).

➢ *როგორ შეიძლება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა?*

გეგმური ამბულატორიული მომსახურებისათვის, მოსარგებლეს შეუძლია დარეგისტრირდეს სურვილისამებრ შერჩეულ მომსახურების მიმწოდებელ ნებისმიერ დაწესებულებაში ამასთან, რეგისტრაციის შეცვლა შესაძლებელია 2 თვეში ერთხელ. პროგრამით მოსარგებლე პირს უფლება აქვს, რეგისტრირებული იყოს მხოლოდ ერთ კლინიკაში - გეგმური ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში.

გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მისაღებად არ არსებობს რაიმე შეზღუდვა სამედიცინო დაწესებულების არჩევისას.

გეგმური ქირურგიული და ონკოლოგიური მომსახურება ხორციელდება მატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის/თანხმობის წერილის საფუძველზე, რომლის მიღება პროგრამის მოსარგებლეს **შეუძლია შემდეგი გზით:**

- მოქალაქე მიმართავს პროგრამის/ქვეპროგრამის მიმწოდებელს ან ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ ოფისს/რეგიონულ სამსახურს.
- პროგრამის მიმწოდებლი, სამედიცინო საჭიროების მიხედვით, სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში ავსებს შესაბამისი ფორმის განაცხადს (რეკვიზიტები, მათ შორის, მოსარგებლის მობილური ტელეფონის ნომერი, სამედიცინო საჭიროების დამადასტურებელი ცნობა (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ფორმა №IV-100/ა ფორმატით, კალკულაცია).
- ელექტრონულიფორმით წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, **სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ხდება მომსახურების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, რაც მოსარგებლეს/წარმომადგენელს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, რომელშიც, მოთხოვნის ნომერთან ერთად, მითითებული იქნება მიმართვის უნიკალური კოდი.**
- მოსარგებლეს/წარმომადგენელს შეუძლია უნიკალური კოდი წარადგინოს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში. სურვილის შემთხვევაში, მას შეუხლია საგარანტიო წერილი აიღოს ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ ოფისში/რეგიონულ სამსახურში. მედიკამენტებით სარგებლობის მატერიალიზებული ვაუჩერის/მიმართვის გაცემა ხდება უშუალოდ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ ოფისში/რეგიონულ სამსახურში.

➢ *რა მომსახურებები არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში?*

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არ ანაზღაურდება:

- ✓ შესაბამისი წლის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების ფარგლებში დაფინანსებული ჯანდაცვითი პროგრამული მომსახურებები;
- ✓ სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა;
- ✓ საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- ✓ სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;
- ✓ ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა;
- ✓ სექსუალური დარღვევების, უშვილობის მკურნალობის ხარჯები;
- ✓ ვირუსული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ✓ თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაშავების, ტერორისტულ ან კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის, ან არალეგალურად მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, გარდა გადაუდებელი სტაციონარული ან ამბულატორიული მომსახურების შემთხვევებისა;
- ✓ თერაპიული პროფილის გეგმური ჰოსპიტალური მომსახურება;
- ✓ ორგანოთა ტრანსპლანტაციის, აგრეთვე ეგზოპროთეზირების ხარჯები.

➢ *საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მედიკამენტები თუ ფინანსდება?*

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია ასევე გარკვეული კატეგორიის ავადმყოფების მედიკამენტებით უზრუნველყოფა. განსაზღვრულია იმ პირთა კატეგორიები, ვისაც შეუძლია მიიღოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტები. ესენია:

- პირი, რომელიც დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100,000 ერთეულს;
- მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა საპენსიო ასაკი (ქალი - 60 წლიდან, მამაკაცი - 65 წლიდან);
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი (შშმ ბავშვი, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი),
- ვეტერანი;
- პარკინსონით დაავადებული საქართველოს მოქალაქე;

- ეპილეფსიით დაავადებული საქართველოს მოქალაქე;
- გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის, დუშეთის, ონის, საჩხერის, ზუგდიდის, მესტიის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა.

შენიშვნა: 0-5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის გათვალისწინებულია ანტიბაქტერიული სამკურნალო საშუალებები.

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფას:

- გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებები;
- ფილტვის ქრონიკული დაავადებები;
- დიაბეტი (ტიპი II);
- ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები;
- ეპილეფსია;
- პარკინსონის დაავადება.

	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების წლიური ლიმიტი, პროგრამით გათვალისწინებული დაავადებების შესაბამისად, შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://nha.moh.gov.ge/ge/p/sayoveltaod

➢ *მუნიციპალიტეტებს თუ აქვთ ჯანდაცვის ეროვნული პროგრამებისგან განსხვავებული პროგრამები და რა სახის?*

მუნიციპალიტეტებს აქვთ ეროვნულისგან განსხვავებული პროგრამები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები ყოველწლიურად მტკიცდება. შესაბამისად, დაინტერესებული პირი ინფორმაციის მისაღებად უნდა ეწვიოს კონკრეტულ მუნიციპალიტეტს ან მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

თემა 8. სახელმწიფო პენსია

➢ *საქართველოში რა ასაკიდან ხდება სახელმწიფო პენსიის დანიშვნა და რა არის ამისთვის საჭირო?*

სახელმწიფო პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის (მამაკაცებისთვის 65 და ქალებისთვის 60 წლის) მიღწევა.

სახელმწიფო პენსიის დასანიშნად განცხადება წარედგინება საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ - **სოციალური მომსახურების სააგენტოს** ნებისმიერ ტერიტორიულ ორგანოს, მიუხედავად მაძიებლის რეგისტრაციის ადგილისა *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 14)*.

განცხადებას თან უნდა დაერთოს მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პენსია გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ადგილას, პენსიონერის სურვილის მიხედვით.

➢ *რამდენია სახელმწიფო პენსიის ოდენობა?*

სახელმწიფო პენსიის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით. 2025 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო პენსიის ოდენობა თვეში შეადგენს:

- 70 წლამდე ასაკის პენსიონერისათვის - 335 ლარს;
- 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერისათვის - 450 ლარს.

➢ *განცხადების წარდგენიდან რა დროში ხდება პენსიის დანიშვნა?*

სააგენტო გადაწყვეტილებას პენსიის დანიშვნის თაობაზე იღებს განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

პენსია ინიშნება:

- განცხადებისა და ყველა ***საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან,*** თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეს ან ამ საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს;
- პენსიაზე უფლების წარმოშობის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობამდე არა უმეტეს 10 კალენდარული დღით ადრე.

პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ ***საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.***

➢ *საზღვარგარეთ მყოფ საპენსიო ასაკის პირს თუ შეუძლია სახელმწიფო პენსიის დანიშვნა?*

საზღვარგარეთ მყოფ საპენსიო ასაკის პირს შეუძლია პენსიის დანიშვნა კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. ამ შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებით უნდა მიმართოს მაძიებლის კანონიერმა წარმომადგენელმა. განცხადებას თან უნდა დაერთოს კანონიერი წარმომადგენლის პირადობისა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

შენიშვნა: კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის შემთხვევაში პენსიის მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ წარმომადგენლობის დოკუმენტში მოცემულია მაძიებლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები.

➢ *პენსიის დანიშვნის შემდეგ პირის საზღვარგარეთ წასვლის შემთხვევაში თუ ხდება პენსიის შეწყვეტა ან შეჩერება?*

პენსია შეჩერდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

- ***პენსიონერის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას,*** ანუ როდესაც არ ხდება მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში;
- როდესაც საპენსიო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და ***მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება;***
- როდესაც პირი ახორციელებს ***პენსიის დეპოზიტზე გადატანას და 1 წლის გასვლის შემდეგ პირადად, არ მიუმართავს პენსიის გამცემი საბანკო დაწესებულებისათვის შესაბამისი განცხადებით.***

პენსია განახლდება განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან;

საზღვარგარეთ მყოფ პირს პენსია შეუწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

- პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ;
- პირადი განცხადებით;
- პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას.

➢ *ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს თუ შეუძლია მოითხოვოს საქართველოში სახელმწიფო პენსიის დანიშვნა?*

სახელმწიფო პენსიის დანიშვნა შეუძლია ყველას ვისაც აქვს საქართველოს მოქალაქის სტატუსი (მათ შორის ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს.

- ***საქართველოში დასაქმების შემთხვევაში დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა სავალდებულოა? რამდენია საპენსიო დაზღვევის შენატანი?***

დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრება და საპენსიო შენატანის განხორციელება ***სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის.***

დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებული დასაქმებულის საპენსიო შენატანებს აფინანსებენ:

- დამსაქმებელი (დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით),
- დასაქმებული (დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით)
- თვითდასაქმებული (თვითდასაქმებულის შემოსავლის 4%-ის ოდენობით);

სახელმწიფო (შესაბამისი კალენდარული წლის ჭრილში წლიური ხელფასის/წლიური შემოსავლის დასაქმებულის დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის 2%-ის ოდენობით, თუ წლიური შემოსავალი 24 ათას ლარს არ აღემატება და 1%-ის ოდენობით, თუ წლიური შემოსავალი 24-დან 60 ათასამდე ლარს შეადგენს).

სახელმწიფო არ ახორციელებს საპენსიო შენატანსშესაბამისი კალენდარული წლის ჭრილში 60 000 ლარის ზემოთ დასაქმებულის დასაბეგრ ხელფასზე ან/და თვითდასაქმებულის შემოსავალზე.

- ***შესაძლებელია დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გამოსვლა და გადახდილი თანხის დაბრუნება?***

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე უფლებამოსილია, საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, წერილობით მიმართოს საპენსიო სააგენტოს და გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან.

საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირი მიიღებს მხოლოდ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელით, დასაქმებულის სასარგებლოდ მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული შენატანებს (დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით) და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო შემოსავალს შესაბამისი ხარჯების გამოკლებით.

დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული შენატანები და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო შემოსავალი შესაბამისი ხარჯების გამოკლებით ***დაუბრუნდება დამსაქმებელს*** ან მის უფლებამონაცვლეს საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრული წესით;

სახელმწიფოს მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანები გადაირიცხება საპენსიო სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე, ხოლო ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო შემოსავალი შესაბამისი ხარჯების გამოკლებით ***გადაირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე*** საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრული წესით.

საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მონაწილეს უფლება აქვს, საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრული წესით მიმართოს საპენსიო სააგენტოს და მიიღოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული მთლიანი საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულება ერთიანი გადახდით ან პროგრამული გატანით.

თუ მონაწილე გარდაიცვალა, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი თანხა გადაეცემა მის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

თუ მონაწილეს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა ან/და დაკარგა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა, მას აქვს უფლება, მოითხოვოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულების მიღება ერთიანი გადახდით. ეს მოთხოვნა იმ შემთხვევაში დაკმაყოფილდება, თუ დადასტურდება, რომ მონაწილე აღარ არის საქართველოს მოქალაქე ან/და მას აღარ აქვს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა. მონაწილის მიერ საქართველოს სამუდამოდ დატოვების საფუძვლით მისთვის გადასაცემი თანხა იბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია სსიპ – **საპენსიო სააგენტო** *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 15).*

თემა 9. სოციალური დახმარების პროგრამები

➢ *ვის შეუძლია ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობის) მიღება და როგორ ხდება მისი დანიშვნა?*

ოჯახს, რომელიც საჭიროებს სოციალურ დახმარებას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეუძლია **მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს,** შეავსოს შესაბამისი განაცხადი და დარეგისტრირდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ყველა წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების შესაძლებლობა, განაცხადის შევსება შესაძლებელია ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე (სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტის დროს).

განაცხადის შესავსებად საჭიროა:

- ოჯახის სრულწლოვანი წევრ(ებ)ის პირადობის/ბინადრობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო არასრულწლოვანი წევრ(ებ)ის შემთხვევაში, დაბადების მოწმობა სადაც მითითებულია პირადი ნომერი;
- მეურვეობის ან მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულება, თუ განცხადება შეაქვს პირს, რომელიც ოჯახის წევრი არ არის.

განაცხადის ფორმის შევსების შემდეგ ოჯახში სააგენტოს უფლებამოსილი პირის (სოციალური აგენტი) ვიზიტის დროს, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული

ინფორმაციის საფუძველზე, შეივსება „ოჯახის დეკლარაცია" ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დეკლარირებული ინფორმაცია დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში განთავსებისა და დადგენილი მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას რაიმე სახის ბენეფიტზე (ფულადი სოციალური დახმარება და სხვა).

➢ *რამდენია ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობის) ოდენობა?*

საარსებო შემწეობის ოდენობებია:

- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 120 001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 200 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

ფულად დახმარებას ოჯახი მიიღებს, საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცედურის განხორციელების შემდგომ, მინიჭებული სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლის მომდევნო მეორე თვიდან.

	დამატებითი ინფორმაცია ფულადი სოციალური დახმარების შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://ssa.moh.gov.ge/main.php?lang=1&id=20221214024550858141993 7

➢ *რა სახის დახმარება გაიცემა მარჩენალდაკარგული პირებისთვის?*

მარჩენალდაკარგული პირი არის ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი (შვილები) 18 წლის ასაკის მიღწევამდე, რომელსაც ენიშნება სოციალური პაკეტი მარჩენალის გარდაცვალების გამო.

მარჩენალის დაკარგვის გამო სოციალური პაკეტი ენიშნებათ შემდეგ პირებს:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა შვილებს 18 წლის ასაკამდე - ერთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში 144 ლარის ოდენობით, ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში - 194 ლარის ოდენობით;
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ

პერიოდში გარდაცვლილი მეომრის შვილს 18 წლის ასაკამდე - ერთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში 122 ლარის ოდენობით, ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში - 172 ლარის ოდენობით;

- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილი პირის შვილს 18 წლის ასაკამდე - ერთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში 107 ლარის ოდენობით, ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში - 157ლარის ოდენობით;
- სხვა თითოეულ მარჩენალდაკარგულს 18 წლის ასაკამდე - ერთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში 100 ლარის ოდენობით, ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში - 150ლარის ოდენობით.

სოციალური პაკეტის დასანიშნად დაინტერესებულმა პირმა განცხადება უნდა წარადგინოს სოციალური მომსახურების **სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში, მიუხედავად რეგისტრაციის ადგილისა.**

	დამატებითი ინფორმაცია სოციალური პაკეტის შესახებ მარჩენალდაკარგული პირებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://ssa.moh.gov.ge/main.php?lang=1&id=20230111095926428285416 2

➢ *რა სახის დახმარება გაიცემა შშმ პირებისთვის?*

სოციალური პაკეტი ენიშნებათ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის, ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს.

- **მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საბაზისო სოციალური პაკეტი შეადგენს 390 ლარს თვეში.** ამასთან, განსაზღვრულია მკვეთრად გამოხატული შშმ პირების რიგი კატეგორიები, რომელთათვისაც სოციალური პაკეტი განსხვავებულია და შეადგენს 397-დან 734 ლარამდე.
- **მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სოციალური პაკეტის საბაზისო ოდენობაა 195 ლარი თვეში**, მაგრამ კატეგორიების მიხედვით ეს თნხა 202-დან 539 ლარამდეა.
- **ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საბაზისო სოციალური პაკეტის ოდენობა შეადგენს 155 ლარს თვეში** და კატეგორიების მიხედვით 189-დან 199 ლარამდეა.
  - **შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს სოციალური პაკეტი ენიშნებათ თვეში 390 ლარის ოდენობით** და კატეგორიების მიხედვით 397 - დან 434 ლარამდეა.

	დამატებითი ინფორმაცია სოციალური პაკეტის შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://ssa.moh.gov.ge/main.php?lang=1&id=20221214024816457594181 2

- ***ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში სახელმწიფო რა სახის დახმარებას გასცემს და რა ოდენობით?***

დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ***ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულება*** 126 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 143 კალენდარული დღის ოდენობით.

დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ***ბავშვის მოვლის გამო შვებულება*** 604 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 587 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 57 კალენდარული დღე.

საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება, ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ბიუჯეტიდან, მოხელის თანამდებობრივი სარგოს და საკლასო დანამატის გათვალისწინებით.

არასაჯრო სექტორში დასაქმებული პირებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება, ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ჯამური ოდენობა არაუმეტეს 2,000 ლარი). დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ აღნიშნული შვებულებების დამატებით ანაზღაურებაზე.

- ***საქართველოში თუ მოქმედებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების რაიმე სახელმწიფო პროგრამა?***

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისთვის საქართველოში მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა. კერძოდ:

- ✓ **მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების განსახლების პროგრამა**

  უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების განსახლების პროგრამა 2024 წლიდან დაიწყო. პროგრამის მიზანი, ოჯახების მხარდაჭერა და მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნაა.

  პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს ოჯახი, 3 და მეტი არასრულწლოვანი ბავშვით, რომლის ყველა წევრი რეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

  პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ოჯახებს, რომელთა არც ერთი წევრი რეგისტრირებული არ არის დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა ან ეკომიგრანტი ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ასევე, თუ უსახლკარო ოჯახის წევრს, სახელმწიფოსგან, უკვე მიღებული არ აქვს საცხოვრებელი ფართი, ან სათანადო

ფულადი კომპენსაცია, საცხოვრებელი ფართის შესაძენად. ამ და სხვა კრიტერიუმების შეფასების შემდეგ, ოჯახების განსახლების საკითხს შესაბამისი კომისია გადაწყვეტს.

უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 1000-მდე ოჯახს სახელმწიფო ახალ საცხოვრებელ ფართებს (სახლი/ბინა) გადასცემს. უსახლკარო ოჯახების განსახლება განხორციელდება საქართველოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

პროგრამა 2025 წლის ბოლომდე გაგრძელდება.

პროგრამაში ჩასართავად უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახის წევრმა უნდა მიმართოს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მმართველობის სისტემაში შემავალ სსიპ - **დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს** *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 6).*

- ✓ **„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“,** რომლის ფარგლებში ფულადი დახმარება გაიცემა ბავშვზე, რომელიც არის მისი ბიოლოგიური დედის რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი.

  ფულადი დახმარება ინიშნება სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან (ბავშვის 2 წლის ასაკის შერულების თვის ჩათვლით) და შეადგენს: მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 200 ლარს, ხოლო ხოლო სხვა დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 150 ლარს (მეორე და მესამე ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარებით ისარგებლებს მხოლოდ ერთ-ერთი ტყუპისცალი).

- ✓ **„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის“,** რომელიც ითვალისწინებს ფულად დახმარებას, 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბავშვზე (საქართველოს მოქალაქე), რომლის ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი.

  ფულადი დახმარება ინიშნება სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და განისაზღვრება:

  - 100 ლარის ოდენობით, ერთი წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი ოჯახის პირველი ან მეორე შვილია.
  - 200 ლარის ოდენობით, 2 წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი ოჯახის მე-3 ან მომდევნო შვილია.
  - მეორე და მესამე ტყუპის შემთხვევაში ერთ-ერთ ტყუპისცალს 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მეორეს - 200 ლარის ოდენობით 2 წლის განმავლობაში.

- ✓ **„მრავალშვილიანის სუბსიდიის პროგრამა“, რომლის ბენეფიციარები არიან** სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში აღრიცხული მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ **მინიმუმ ოთხი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები,** და რომელთა ოჯახებიც, ამავდროულად რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ **300 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით.**

  პროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანის სუბსიდიის (სოციალური შეღავათის) ოდენობა შეადგენს ყოველთვიურად არაუმეტეს 20 ლარს - ოჯახში 4 არასრულწლოვანი შვილის შემთხვევაში, ხოლო მე-5 და თითოეულ მომდევნო არასრულწლოვან ბავშვზე - დამატებით არაუმეტეს 10 ლარს, მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობის გათვალისწინებით, ანუ, არაუმეტეს ფაქტობრივი ხარჯისა. მაგალითად, თუ ოჯახს ყავს 7 არასრულწლოვანი, მისთვის სუბსიდიის მაქიმალური ოდენობა იქნება 50 ლარი, მაგრამ თუკი ამ ოჯახის ფაქტიური ხარჯი იქნება 45 ლარი, დაუსუბსიდირდება მხოლოდ 45 ლარი, ხოლო თუ ამ ოჯახის ფაქტიური ხარჯი იქნა 65 ლარი, მაშინ 50 ლარი დაიფარება სუბსიდიით და 15 ლარის გადახდა ოჯახს დაეკისრება.

აღნიშნულის გარდა, **ქ. თბილისში მოქმედებს ქვეპროგრამა „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება“,** რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური ფულადი დახმარება.

კერძოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი **ოჯახები, რომლებსაც 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი ბავშვი ჰყავთ, მიიღებენ 18 წლამდე ასაკის თითოეული ბავშვისთვის ფულად დახმარებას თვეში 50 ლარის ოდენობით.**

ბენეფიციარ ოჯახებს კუთვნილი თანხა დაერიცხებათ ავტომატურად, სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოველთვიურად განახლებად მონაცემთა ერთიანი ბაზის საფუძველზე. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შესაბამისი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების თაობაზე ინფორმაციის მოწოდების შემდეგ, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხსნის საბანკო ანგარიშს მომსახურე ბანკში ("თიბისი ბანკი"), რომელზეც ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა შემდგომში ავტომატურად დაირიცხოს. (ქვეპროგრამა იხ. ბმულზე: https://tbilisi.gov.ge/img/original/2024/1/8/02_18_wlamde.pdf)

რიგ მუნიციპალიტეტებში მოქმედებს ასევე ახალშობილთა ოჯახებისა და მრავალშვილიანი ოჯახების ფულადი დახმარების პროგრამები. მათ შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიას ან ინფორმაცია მოიძიოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

- *მუნიციპალიტეტებში თუ მოქმედებს ეროვნულისგან განსხვავებული სოციალური პროგრამები და რომელი?*

ყველა მუნიციპალიტეტს აქვს სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამები, რომელთა სამიზნე ჯგუფები ძირითადად არიან სოციალურად დაუცველი პირები და ოჯახები. აღნიშნული პროგრამების ნახვა შესაძლებელია კონკრეტული მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალურ პროგრამებზე ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://tbilisi.gov.ge/img/original/2024/1/8/02_18_wlamde.pdf

თემა 10. დასაქმების ხელშეწყობა

- *სახელმწიფო თუ ეხმარება მოქალაქეებს დასაქმებაში?*

ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებს ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – **დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო** *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 16).*

დასაქმების სერვისების მიწოდების მიზნით შექმნილია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა – https://worknet.moh.gov.ge , სადაც ხდება სამუშაოს მაძიებლებისა და ვაკანსიების რეგისტრაცია, ინფორმაციის მიღება დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისა და დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული სამუშაო ადგილების შესახებ. საინფორმაციო სისტემის საშუალებით დამსაქმებლებს შეუძლიათ მოიძიონ ვაკანსიის შესაფერისი კვალიფიკაციის პირები.

სამუშაოს მაძიებლებისა და ვაკანსიების რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც ონლაინ, ისე დასაქმების ხელშეწყობის ტერიტორიულ განყოფილებებში ვიზიტით. სამუშაოს მაძიებლად შეიძლება დარეგისტრირდეს უმუშევარი ან დასაქმებული, რომელიც ეძებს სხვა შესაფერის სამუშაოს.

პირი სამუშაოს მაძიებლად ვერ დარეგისტრირდება, თუ:

- არის 16 წლის და რეგისტრაციის დროისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლედ ირიცხება;
- მიაღწია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საპენსიო ასაკს;
- იმყოფება სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში;
- თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით რეგისტრაციის შეწყვეტიდან 18 თვე არ გასულა;
- არ არის საქართველოს მოქალაქე.

➢ *რა სახის მომსახურებას სთავაზობს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო სამუშაოს მაძიებლებს?*

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

1. *სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, პროფილირება და კონსულტირება:*

- ✓ სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია ხორციელდება შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში www.worknet.gov.ge (დამოუკიდებლად ან კონსულტანტის დახმარებით).
- ✓ დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი იღებს ინდივიდუალურ კონსულტაციას, რომელის დროს ხდება მისი პროფილირება (პროფესიული პროფილის შედგენა) და დასაქმების შესაძლებლობის შეფასება.

სამუშაოს მაძიებლებს სააგენტო სთავაზობს:

ა) საშუამავლო მომსახურებას, რომლის ფარგლებში მათ ეგზავნებათ ინფორმაცია ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე ეგზავნებათ მოსაწვევი მასობრივ გასაუბრებებსა და დასაქმების ფორუმებზე, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

ბ) კონსულტირებას დასაქმების მიმართულებით, უწევს საშუამავლო მომსახურებას და ამისამართებს დამსაქმებელთან.

გ) საჭიროების შემთხვევაში, **პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კონსულტაციებს,** ასევე პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენას და გეგმის მიხედვით კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვას.

ინდივიდუალური კონსულტაციების გარდა, სააგენტო სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს ჯგუფური კონსულტაციებსაც, რომლებზეც ხდება შრომის ბაზარზე არსებული ძირითადი ინფორმაციის მიწოდება, ასევე ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად მოძიების, მასზე გამოხმაურებისა და დამსაქმებლებთან ინტერვიუების პრაქტიკულ რჩევებს.

2. *სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლება:*

სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებში ჩართვა ხორციელდება კარიერული კონსულტირებისა და პროფესიული ორიენტაციის შედეგების გათვალისწინებით, რომლის დროსაც ფასდება სამუშაოს მაძიებლის პროფილი, მისი დასაქმების შესაძლებლობები, დგება პროფესიული და კარიერული განვითარების ინდივიდუალური გეგმა.

სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება საკვანძო კომპეტენციების განვითარების ტრენინგებისა და პროფესიული მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი სასწავლო კურსების დაფინანსების გზით.

საკვანძო კომპეტენციების განვითარების ტრენინგი ხორციელდება 4 მიმართულებით:

- **სამუშაოს მოძიების უნარების განვითარება** - ტრენინგი სამუშაოების მაძიებლებს აძლევს შესაძლებლობას შეისწავლონ რეზიუმეს მომზადება და მიიღონ წარმატებული გასაუბრებისთვის აუცილებელი სხვა უნარ-ჩვევები.
- **ციფრული კომპეტენცია** - კომპიუტერული ტექნოლოგიების საწყის დონეზე სწავლებას. გათვლილია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არ ჰქონიათ შეხება კომპიუტერულ ტექნიკასთან და ესაჭიროებათ ელემენტარული უნარების გამომუშავება ამ მიმართულებით. კურსის მიმდინარეობისას შეისწავლიან: კომპიუტერის აგებულებას, ფუნქციებს, სხვადასხვა საოფისე პროგრამებს და აუცილებელი ინტერნეტ ვებ-გვერდების გამოყენების უნარებს.
- **სამეწარმეო კომპეტენცია** - განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, ვინც დაინტერესებულია მცირე ან საშუალო ბიზნესის წამოწყებით ან სურს გახდეს თვითდასაქმებული და ამისთვის სჭირდება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. ასევე შეისწავლიან ბიზნეს გეგმის შედგენას.
- **მულტილინგვურობის კომპეტენცია** - გულისხმობს უცხო ენების, კონკრეტულად კი ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენების შესწავლას. კურსები განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, ვისაც აქვს სურვილი შეისწავლოს ჩამოთვლილი ენების საწყისი დონე ან გააუმჯობესოს არსებული ცოდნა.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება და გადამზადების ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოკლევადიანი კურსების ორგანიზებას, რომლებიც სამუშაოს მაძიებლებს საშუალებას აძლევენ შეისწავლონ შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები.

სწავლება ხორციელდება ავტორიზებულ (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) პროფესიულ კოლეჯებში. სასწავლო კურსის ხანგრძლივობა გრძელდება 1 თვიდან 3 თვემდე. მსურველისთვის სწავლა უფასოა! წინაპირობაა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში რეგისტრაცია, რისთვისაც მსურველმა უნდა მიმართოს სააგენტოს სერვის-ცენტრებს.

3. სტაჟირების კომპონენტი:

ამ კომპონენტის ფარგლებში სამუშაოს მაძიებლები შესაძლოა დროებით დასაქმდნენ სხვადასხვა კომპანიებში არსებულ ვაკანტურ ადგილებზე, რაც მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლის და შემდგომში დასაქმების შესაძლებლობას მისცემთ. გარდა ამისა, სტაჟირების პროგრამა გულისხმობს დასაქმების შესაძლებლობას მაქსიმუმ 6 თვის ვადით. სტაჟიორი სახელმწიფოსგან ყოველთვიურად მიიღებს 200 ლარიან სტიპენდიას. დისტანციური სტაჟირების შემთხვევაში, სტიპენდია 100 ლარით განისაზღვრება. სტაჟირების პერიოდში წარმატებული მუშაობის შემთხვევაში, დამსაქმებელს აქვს შესაძლებლობა, სამ თვემდე ადრე გაუფორმოს ხელშეკრულება სტაჟიორს.

სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობენ კერძო კომპანიები. ვაკანსიები შესაძლოა გამოცხადდეს ნებისმიერ სფეროში, რომელსაც სჭირდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების ადგილზე შესწავლა.

სტაჟირების პროგრამაში ჩართვა შეუძლიათ:

- შშმ და სოციალურად დაუცველ პირებს, დევნილებს, ასევე worknet-ზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, 16 წლიდან საპენსიო ასაკამდე.
- შესაძლოა, პროგრამაში ჩაერთონ ბენეფიციარები, რომლებმაც გაიარეს პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსი.

სტაჟირების პროგრამაში ჩასართავად, სამუშაოს მაძიებელი უნდა ეწვიოს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის-ცენტრს, სადაც გაივლის კარიერულ კონსულტირებას, ასევე მოხდება მისი დარეგისტრირება სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში. პროცედურული საკითხების გავლის შემდეგ, სააგენტო იზრუნებს რეგისტრირებული პირისთვის შესაბამისი ვაკანსიის მოძიებაზე.

➢ *სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში რა სასწავლო კურსები ფინანსდება?*

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების ქვეპროგრამა ყოველწლიურად მტკიცდება. სასწავლო კურსების ჩამონათვალი ფართოა და მოიცავს საქმიანობის სხვადასხვა სფეროს. სასწავლო კურსებს მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებენ ავტორიზებული სახელმწიფო და კერძო პროფესიული კოლეჯები.

რეგიონისა და კოლეჯების მიხედვით სასწავლო კურსებზე ინფორმაციის მისაღებად სამუშაოს მაძიებელმა უნდა მიმართოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს ***(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 16).***

როგორც წესი, პროგრამებისა და რეგისტრაციის ვადების შესახებ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო განცხადებას აქვეყნებს წელიწადში 2-ჯერ ფეისბუკ-გვერდზე: https://www.facebook.com/worknet.gov.ge/?locale=ka_GE, რის შემდეგაც ბენეფიციარმა უნდა მიმართოს სააგენტოს სერვისცენტრებს და პროგრამაში ჩასართავად ადგილზე გაიაროს რეგისტრაცია.

➢ *სახელმწიფოს მხრიდან როგორ ხდება მოწყვლადი და დაბალკონკურენტიანი სამუშაოს მაძიებლების (შშმ პირები, სოციალურად დაუცველი და დევნილი ახალგაზრდები) დასაქმების ხელშეწყობა?*

მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება **შრომის ანაზღაურების სუბსიდირების პროგრამა,** რომლის მიზანია სამუშაოს მაძიებელი სოციალურად დაუცველი ან დევნილი ახალგაზრდების და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა.

სუბსიდირების პროგრამა გულისხმობს სააგენტოს მხრიდან, კომპანიასთან მოლაპარაკების გზით, არსებულ ვაკანსიაზე, დასაქმებული ***ბენეფიციარის შრომის ანაზღაურების 50%-ის სუბსიდირებას, რაც არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს.***

სუბსიდირების პროგრამაში ჩართვა შეუძლიათ:

- დევნილის სტატუსის მქონე პირებს, 16-დან 29 წლის ჩათვლით;

- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომლებსაც აქვთ მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ სარეიტინგო ქულაზე ნაკლები და არიან 16 წლიდან 29 წლის ჩათვლით;
- სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ ან სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ პირებს, 16 წლიდან 29 წლის ჩათვლით;
- შშმ ან სსმ პირებს;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირებს.

პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 9 თვის ვადით. დასაქმებულს სუბსიდია ეძლევა არაუმეტეს 3 თვის ვადით. სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, კომპანია ვალდებულია დასაქმებულს მინიმუმ 6 თვიანი სრულყოფილი ხელშეკრულება გაუფორმოს.

სუბსიდირების პროგრამაში ჩართვისა და ინფორმაციის მიღებისთვის სამუშაოს მაძიებელმა უნდა მიმართოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის-ცენტრს *(საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 16)*, სადაც მას გაუწევენ კონსულტაციას და მიაწვდიან საჭირო ინფორმაციას.

➢ *რას გულისხმობს სოციალურად დაუცველ სამუშაოს მაძიებელთა საზოგადოებრივი სამუშაოებზე დასაქმება?*

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ, 18 წლის და უფროსი ასაკის პირს საპენსიო ასაკამდე, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას და ოჯახის ***სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120,000-ს.***

საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია - საზოგადოებრივი სამუშაოს მსურველ პირებს არ სჭირდებათ გამოცდილება, კომპეტენცია ან შესაბამისი განათლება. სამუშაოების მიზანია მოქალაქეებს შემოსავლების ზრდის პარალელურად, სამსახური მათ შრომითი უნარების გამომუშავებასა და გამოცდილების დაგროვებაში დაეხმაროს. სოციალურად დაუცველ პირს საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია იმ მუნიციპალიტეტში, სადაც რეგისტრირებულია და იღებს სოციალურ გასაცემელს.

პროგრამა სოციალურად დაუცველ პირებს სთავაზობს რამდენიმე ალტერნატივას:

- ✓ საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიას;
- ✓ ღია შრომის ბაზარზე ატვირთულ ვაკანსიას;
- ✓ თუ დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, დასაქმების ფორმალიზებას;
- ✓ პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებში ჩართვას.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის დროს სოციალური გასაცემელი სრული განაკვეთით მუშაობის შემთხვევაში განსაზღვრულია 300 ლარის ოდენობით, ნახევარი განაკვეთით დასაქმების შემთხვევაში კი, 150 ლარის ოდენობით.

- ***სოციალურად დაუცველ პირს დასაქმების შემთხვევაში ხომ არ შეუწყდება სოციალური დახმარება?***

პროგრამაში ჩართვით სოციალურად დაუცველი პირი იღებს საშეღავათო პირობებს - 4 წლის განმავლობაში და მისი სოციალური სტატუსი არ გადამოწმდება, ანუ, დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება. სტატუსის ჯავშანი შეუნარჩუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ ის ღია შრომის ბაზარზე გადამისამართდება და უფრო მაღალ ანაზღაურებად სამსახურში დასაქმდება.

- ***დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს გარდა ვის შეიძლება მივმართო დასაქმებაში დახმარებისთვის?***

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს გარდა საქართველოში ფუნქციონირებენ დასაქმების კერძო სააგენტოები და მიზნობრივი ვებ-პორტალები, სადაც შესაძლებელია როგორც არსებულ ვაკანსიებზე ინფორმაციის მოძიება, ისე საკუთარი კანდიდატურის დამსაქმებლებისთვის შეთავაზება რეზიუმეს (CV) განთავსების გზით.

დასაქმების ყველაზე პოპულარული ვებ-პორტალებია:

- https://www.jobs.ge/
- https://www.hr.ge/
- https://geojobs.ge/
- https://www.myjobs.ge/
- https://awork.ge/user/home
- https://ss.ge/ka/jobs

თემა 11. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების მიზნობრივი პროგრამები

- ***საქართველოში დაბრუნების მსურველ მოქალაქეს დაბრუნებამდე თუ შეუძლია რაიმე სახის დახმარების მიღება? სად და როგორ?***

საზღვარგარეთ არალეგალური საფუძვლით მყოფი, საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნების მსურველი საქართველოს მოქალაქე შეიძლება ჩაერთოს მიგრანტების ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამაში, რომელსაც **მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)** ახორციელებს ევროპის 30-მდე ქვეყანასთან. პროგრამაში ჩართვის მიზნით პირი უნდა დაუკავშირდეს IOM ოფისს იმ ქვეყანაში, საიდანაც სურს საქართველოში დაბრუნება. სწორედ ეს ოფისი იღებს გადაწყვეტილებას საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნების მსურველი მიგრანტის პროგრამაში ჩართვის საკითხს.

კონკრეტულ ქვეყანაში IOM-ის მისიის საკონტაქტო ინფორმაციის მოძიებისთვის უნდა აკრიფოთ ამ ქვეყნის ინგლისური დასახელება, წერტილი და iom.int (მაგალითად, საბერძნეთის მისიის ვებ-გვერდია: www.greece.iom.int ; იტალიის - www.italy.iom.int და ა.შ.).

პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს ხშირად სთავაზობენ დაბრუნებისათვის საჭირო დოკუმენტების მოწესრიგებას და მგზავრობის ხარჯების დაფარვას, აგრეთვე პირველადი საჭიროებებისთვის ე.წ. „ჯიბის ფულს“ (ეს თანხა ქვეყნებისა და ინდივიდუალური „ქეისების“ მიხედვით განსხვავებულია და 25-დან 500 ევრომდე მერყეობს). სარეინტეგრაციო დახმარების პაკეტები მოიცავს ასევე დახმარებას ჯანდაცვის, დასაქმების მიზნით პროფესიული სწავლების, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, მიკრო და მცირე ბიზნესის დაწყების მიზნით. ამასთან, ***ცალკეული ქვეყნის მიხედვით დადგენილია კრიტერიუმები და მიგრანტთა კატეგორიები, რომლებსაც შეუძლიათ პროექტში მონაწილეობა, განსხვავებულია ასევე მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პაკეტები და დაფინანსების ოდენობა.***

ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამაში ჩართული პირების შესახებ ინფორმაცია (მ.შ. დახმარების პაკეტის შესახებ) გამომგზავნი ქვეყნის IOM-ის ოფისი აწვდის **IOM-ის საქართველოს მისიას**, რომელიც უზრუნველყოფს პაკეტით განსაზღვრული დახმარების/სერვისის ფაქტობრივ მიღებას (*შენიშვნა*: დახმარების მიღება არ გულისხმობს პაკეტით განსაზთვრული დახმარების ნაღდი ფულის სახით გაცემას).

IOM-ის საქართველოს მისიას მიგრანთა რესურს ცენტრები აქვს ქუთაისში, თელავში, ფოთსა და ბათუმში, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, ემსახურებიან ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის მონაწილე დაბრუნებულ მიგრანტებს.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიისა და მისი რეგიონული რესურს ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. დანართში 17.

IOM-ის პროგრამის გარდა, საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის პროგრამას ახორციელებს *საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“.* პროგრამა ითვალისწინებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან (ბელგიიდან, ავსტრიიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, დანიიდან, საფრანგეთიდან და სხვ.) საქართველოში ნებაყოფლობით და იძულებით დაბრუნებულ მიგრანტების დახმარებას შემდეგი მიმართულებებით:

- საქართველოში დაბრუნებულ პირებთან დაკავშირება და შეხვედრა;
- სოციალური კონსულტაციებით უზრუნველყოფა და მათი მოთხოვნების განსაზღვრა;
- საცხოვრებელი ფართის ძიებაში დახმარება;
- სამედიცინო, სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება;
- პროფესიულ ტრენინგების გავლა;
- სამუშაო ადგილის ძიებაში დახმარება;
- მოზარდების განათლების მიღების უზრუნველყოფა.

საქართველოს კარიტასი პროგრამას ახორციელებს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად.

	დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ „საქართველოს კარიტასის“ ვებგვერდი: https://caritas.ge/193--.html
	„საქართველოს კარიტასის საკონტაქტო ინფორმაციაა: მისამართი: საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის მე-2 პლატო, ბესარიონ ჟღენტის ქიჩა 45, 0183 ელ-ფოსტა: caritas-georgia@caritas.ge ტელეფონი: (+995 32) 2217819; (+995 32) 2251387 ვებ-გვერდი: https://caritas.ge/

➢ *საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების დახმარებისთვის თუ არსებობს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა? ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ პროგრამაში?*

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა 2015 წლიდან მოქმედებს და ყოველწლიურად მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

სარეინტეგრაციო პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს ან საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც:

- ✓ საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ თავშესაფრით;
- ✓ სამშობლოში დაბრუნებიდან ერთი წლის განმავლობაში მომართეს სააგენტოს „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით.

პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც ნებაყოფლობით, ისე იძულებით (დეპორტით, რადმისიით) დაბრუნებულ მიგრანტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნულ მოთხოვნებს და იმყოფებიან საქართველოში.

- ***[როგორ შეიძლება დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა?]***

პროგრამაში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა **დაბრუნებულმა მიგრანტმა უნდა შეავსოს რეგისტრაციის ფორმა** (დანართი N1) სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ვებ-გვერდზე.
https://idp.moh.gov.ge/editor/upload/20241003034425-SaregistracioPorma.pdf

არასრულწლოვანი დაბრუნებული მიგრანტის რეგისტრაციისთვის არასრულწლოვანის ერთ-ერთმა მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა შეავსოს არასრულწლოვანის რეგისტრაციის ფორმა (დანართი N9) სააგენტოს ვებ-გვერდზე:
https://idp.moh.gov.ge/editor/upload/20240314042712-Danarti9.pdf

დაინტერესებულმა პირმა სხვა საჭირო დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს სააგენტოში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა, ან შევსებული და დასკანერებული სახით გააგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: info@idp.gov.ge .

სრულყოფილად შევსებული რეგისტრაციის ფორმის და თანმდევი დოკუმენტაციის ჩაბარება შესაძლებელია სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებშიც, შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. გორი, სამების ქუჩა N1;
2. ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ. N5
3. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27
4. ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს განმცხადებლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ***სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციის პროგრამების ადმინისტრირების სამმართველოს***: ტელ.: 032 214 02 42.

- ***[რა სახის დახმარებას სთავაზობს სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა დაბრუნებულ მიგრანტებს?]***

2024 წლის სახელმწიფო პროგრამა დაბრუნებული მიგრანტებისთვის, ითვალისწინებს სარეინტეგრაციო დახმარების სერვისებს შემდეგი ექვსი მიმართულებით:

1. სამედიცინო დახმარება და/ან მედიკამენტების დაფინანსება;
2. დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
3. პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
4. სოციალური ინიციატივების დაფინანსება ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირება;

5. ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით თანხის გაცემა;
6. დაბრუნებული მიგრანტი ბავშვებისთვის სპორტული/შემოქმედებითი/შემეცნებითი კურსების დაფინანსება.

პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარს შეუძლია **პროგრამის სხვადასხვა კომპონენტით სარგებლობა. ასეთ შემთხვევაში ჯამური დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 6000 ლარს თითოეულ ბენეფიციარზე**.

საშემოსავლო პროექტებზე განაცხადების მიღების გარკვეული ვადები წინასწარ ცხადდება. პროფესიული განათლების ხელშეწყობის, სამედიცინო დახმარებითა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნით განაცხადების მიღება მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

➢ *როგორ ხდება სამედიცინო მომსახურებისა და/ან მედიკამენტების დაფინანსება სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამით და ამ დახმარების მისაღებად რა არის საჭირო?*

სამედიცინო დახმარების მიმართულება ითვალისწინებს გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე ბენეფიციარებისთვის შემდეგი მხარდაჭერის გაწევას:

- ინფორმაციის მიწოდება მოქმედი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების შესახებ და აღნიშნულ პროგრამებში მათ ჩასართავად დახმარების გაწევა;
- მწვავე, ქრონიკული და/ან სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პირებისათვის საჭირო სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა, მათ შორის, მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება;
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

ერთი ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხა უნდა იყოს **არანაკლებ 50 ლარისა და ჯამში არაუმეტეს 1500** (ათასხუთასი) **ლარისა.** ასევე, მედიკამენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს.

იმ მედიკამენტების დაფინანსება, რომლებიც ბენეფიციარს ესაჭიროება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მოხდება კვარტალურად, დაბრუნებული მიგრანტის რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში.

სამედიცინო დახმარების და/ან მედიკამენტების დაფინანსების მისაღებად რეგისტრაციის ფორმის (დანართი N1) გარდა საჭიროა სამედიცინო დოკუმენტაციის (ფორმა №IV-100/ა, ინვოისი და/ან სხვა) წარმდგენა სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში.

სამედიცინო დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი რეინტეგრაციის პროგრამის სამედიცინო დახმარების ადმინისტრირების კომისია.

- *<u>რა შემთხვევაში ხდება დაბრუნებული მიგრანტის დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა?</u>*

საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი მიგრანტების დაბრუნებისთანავე, გამოკვეთილი საჭიროებების შემთხვევაში, ბენეფიციარის არაუმეტეს **6 ღამით დროებითი განთავსების** უზრუნველყოფა.

იძულებით (დეპორტი, რეადმისია) დაბრუნებული პირების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხდება კომისიური წესით განხილვის გარეშე.

გამონაკლის შემთხვევებში, დამატებითი დახმარება შეიძლება გაეწიოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბენეფიციარებს. ასეთ შემთხვევებს განიხილავს სპეციალური კომისია.

დროებით საცხოვრებელში განთავსებით დაინტერესებულმა დაბრუნებულმა მიგრანტმა უნდა მიმართოს სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს.

- *<u>რას გულისხმობს დაბრუნებული მიგრანტების პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა?</u>*

პროფესიული სწავლების დაფინანსება მოხდება მხოლოდ იმ პირობების არსებობის შემთხვევებში, რომლებიც **არ აძლევს საშუალებას** ბენეფიციარს ისარგებლოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამით“, და/ან იმ გარემოების გამო, რომ ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, უმჯობესია ამ პროგრამის მიღმა ისარგებლოს პროფესიული სწავლების შესაძლებლობით.

ერთი ბენეფიციარის პროფესიული სწავლების სრული კურსისთვის განკუთვნილი თანხა **არ უნდა აღემატებოდეს 1500 (ათას ხუთას) ლარს,** ამასთანავე კურსის ხანგრძლივობა **არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.**

პროფესიული სწავლებით დაინტერესებულმა დაბრუნებულმა მიგრანტმა უნდა მიმართოს განცხადებით სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს.

- *<u>სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის ფარგლებში თუ ხდება დაბრუნებული მიგრანტებისთვის მცირე ბიზნესის მხარდაჭერა?</u>*

დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის ფარგლებში ხდება ე.წ. „სოციალური ინიციატივების დაფინანსება ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირება“, რაც გულისხმობს ბენეფიციარისთვის როგორც მცირე ბიზნესის დაწყება-გაფართოების პროექტების დაფინანსებას, ასევე არსებულ ეკონომიკურ საქმიანობაში ბენეფიციარის ჩართვის/დასაქმების ფორმით.

ბენეფიციარების მიერ წარდგენილი პროექტების საფუძველზე, შესაძლებელია ტექნიკა-დანადგარებისა და სხვა ძირითადი საშუალების შეძენა შესაბამისი მომსახურების გაწევით.

ერთ ბენეფიციარს პროექტი დაუფინანსდება არაუმეტეს 6 000 ლარის ფარგლებში; თუ პროგრამის სხვა მიმართულებით განმცხადებელს უკვე მიღებული აქვს დახმარება, შესაბამისად შემცირდება პროექტის დაფინანსების მოცულობა.

ბენეფიციარები მიიღებენ მხარდაჭერას შემდეგი მიმართულებით:

- სასოფლო-სამეურნეო ინიციატივები;
- თვითდასაქმებაზე ორიენტირებული არასასოფლო-სამეურნეო ინიციატივები.

სოციალური ინიციატივის დაფინანსების ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირების მისაღებად ტროგრამაში დარეგისტრირებულმა დაინტერესებულმა პირმა რეგისტრაციის ფორმის (დანართი N1) გარდა, უნდა შეავსოს დამატებით „განაცხადის ფორმა - სოციალურ-ეკონომიკური პროექტის გეგმა“ (დანართი N2) სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ვებ-გვერდზე:

https://idp.moh.gov.ge/mainlist.php?lang=1&uid=20230108180412683592299 8

➢ *რა შემთხვევაში გაიცემა დაბრუნებული მიგრანტებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება და რა ოდენობით?*

გამოკვეთილი საჭიროებების შემთხვევაში, ისეთი საჭიროებების არსებობისას, როგორიცაა დოკუმენტაციის აღდგენა, ბინის ქირა, პირველადი მოხმარების პროდუქტების შეძენა და სხვა, ფინანსური სირთულეების დაძლევის მიზნით შესაძლებელია ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა ოჯახზე არაუმეტეს 300 ლარისა.

პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით მოხდება მხოლოდ ისეთი ბენეფიციარების (ოჯახების) დაფინანსება, რომელთაც არ აქვთ რეგისტრირებული უძრავი ქონება (კერძოდ: სახლი/ბინა/ საცხოვრებელი ფართი), არ გააჩნიათ შემოსავალი (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური გასაცემელისა) და ჰყავთ 1 არასრულწლოვანი შვილი მაინც, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ადმინისტრირების კომისია პროგრამისთვის ამ კომპონენტზე განსაზღვრული ფინანსური რესურსის გათვალისწინებით.

დაფინანსების მისაღებად საჭირო სააგენტოს დირექტორის სახელზე განცხადების წერილობითი ფორმის შევსება (დანართი N8) სააგენტოს ვებ-გვერდზე: https://idp.moh.gov.ge/editor/upload/20240314042633-Danarti8.pdf.

განცხადებას თან უნდა ერთოდეს ოჯახის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ბავშვ(ებ)ის დაბადების მოწმობა, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკონომიკური მხარდაჭერის სამსახურის მიერ შესაძლოა დამატებით იქნას მოთხოვნილი სხვა დოკუმენტი, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

- ***რას გულისხმობს დაბრუნებული მიგრანტი ბავშვებისთვის სპორტული/შემოქმედებითი/შემეცნებითი კურსების დაფინანსება?***

პროგრამა ითვალისწინებს დაბრუნებული მიგრანტი არასრულწლოვანი ბენეფიციარების რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სპორტული და შემოქმედებითი კურსების დაფინანსებას **ერთი წლის მანძილზე 1500 ლარის ფარგლებში.**

არასრულწლოვანი დაბრუნებული მიგრანტების რეგისტრაციისათვის საჭიროა სარეგისტრაციო ფორმის (დანართი N9) შევსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: https://idp.moh.gov.ge/editor/upload/20240314042712-Danarti9.pdf

დაფინანსების მისაღებად საჭიროა ინვოისის, მომსახურების საფასურის ან/და სხვა მსგავსი ტიპის დოკუმენტის წარმოდგენა შესაბამისი კურსის დასახელებით, ასევე ერთ-ერთი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება.

დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ადმინისტრირების კომისია ამ კომპონენტზე განსაზღვრული ფინანსური რესურსის გათვალისწინებით. დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად, სააგენტოსთვის შესაბამის კურსზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის შემდეგ.

დანართები

<u>დანართი 1.</u> მიგრაცია: ძირითადი ტერმინები

- ***<u>რა არის მიგრაცია?</u>***

პირთა გადაადგილება მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილიდან, საერთაშორისო საზღვარზე (საერთაშორისო მიგრაცია), ან ქვეყნის შიგნით (შიდა მიგრაცია).

- ***<u>ვინ აღირიცხება ემიგრანტად და იმიგრანტად საქართველოში?</u>***

ემიგრანტად აღირიცხება პირი, რომელმაც დატოვა საქართველო ბოლო 12 თვეში და სულ მცირე 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე გასვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და საქართველო იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე.ი. მას ქვეყნიდან გასვლამდე წინა 12 თვეში საქართველოში გატარებული ჰქონდა სულ მცირე 183 დღე (ხანგრძლივობის კუმულაციური ჯამი).

იმიგრანტად აღირიცხება პირი, რომელმაც გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვეში სულ მცირე 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე შემოსვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე.ი. მას საქართველოს საზღვრებს გარეთ წინა 12 თვეში გატარებული აქვს სულ მცირე 183 დღე.

- ***<u>რა არის დაბრუნებითი მიგრაცია?</u>***

საერთაშორისო მიგრაციის კონტექსტში, იმ პირების გადაადგილება, რომლებიც მათი ჩვეული ბინადრობის ადგილის დატოვებისა და საერთაშორისო საზღვრის კვეთის შემდეგ, ბრუნდებიან წარმოშობის ქვეყანაში.

- ***<u>მიგრანტების დაბრუნების რა ფორმები არსებობს?</u>***

მიგრანტთა დაბრუნების ფორმებია:

- ✓ ნებაყოფლობითი (პირის დაბრუნება დამოუკიდებლად, ან დაბრუნებაში დახმარებითა, წარმოშობის, სატრანზიტო ან სხვა ქვეყანაში, მისი ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების საფუძველზე).
- ✓ იძულებითი (პირის საკუთარი ნების წინააღმდეგ დაბრუნება წარმოშობის, სატრანზიტო ან მესამე ქვეყანაში, რომელიც თანხმდება მის მიღებას; როგორც წესი, ხორციელდება ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ან სასამართლო აქტის საფუძველზე.).

გაძევება (დეპორტაცია)[1] - სახელმწიფოს მიერ საკუთარი სუვერენული უფლებების ფარგლებში განხორციელებული ქმედება, რომელიც გულისხმობს მისი ტერიტორიიდან უცხოელის გაძევებას სხვა ტერიტორიაზე, ქვეყანაში დაშვებაზე უარის ან ქვეყანაში ყოფნის ნებართვის შეწყვეტის შედეგად.

რეადმისია - სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა პირის (ამ ქვეყნის მოქალაქის, მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის) ამავე სახელმწიფოში დაბრუნების შესახებ.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ,,უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმება ძალაში შევიდა 2011 წლის პირველი მარტიდან.

---

[1] მიუხედავად იმისა, რომ 'დეპორტაცია' (deportation) და 'გაძევება' (removal) ხშირად სინონიმებად აღიქმება, 'დეპორტაცია' არ გამოიყენება როგორც სამართლებრივი ტერმინი ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში (მხოლოდ გერმანიას, ფინეთს და ირლანდიას აქვთ განმარტებული დეპორტაცია თავიანთ კანონმდებლობაში) და საჯაროდ მხოლოდ ზოგადი ცნების სახით გამოიყენება, ზოგჯერ უარ ყოფითი დატვირთვითაც სწორედ ამ სხვაობის გამოუპირატესობა ენიჭება ტერმინს 'გაძევება' (removal).

<u>დანართი 2.</u> სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების საკონტაქტოს ინფორმაცია (https://sda.gov.ge/?page_id=5872)

- **თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლი**
  მის.: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1.
  ტელ: +995 32 2 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge
  fb-გვერდი: https://www.facebook.com/publicservicehall

- **აჭარის სამსახური**
  მის: ქ.ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №7
  ტელ: +99 532 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge

  - **ხელვაჩაურის ფილიალი**
    მის: დაბა ხევლაჩური, თამარ მეფის ქ. №12

- **გურიის სამოქალაქო რეესტრის სამსახური**
  მის: ქ.ოზურგეთი, პეტრიწის ქ. №9
  ტელ: +99532 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge

- **იმერეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახური**
  მის: ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №20
  ტელ: +99532 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge

  - **თერჯოლის ფილიალი**
    მის: ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ. №95
  - **სამტრედიის ფილიალი**
    მის: ქ.სამტრედია რუსთაველის ქ. №28

- **კახეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახური**
  მის: ქ.თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №3
  ტელ: +99532 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge

  - **ახმეტის ფილიალი**
    მის: ქ.ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ.№50
  - **საგარეჯოს ფილიალი**
    მის: ქ.საგარეჯო, ჯაფარიძის ქ.№2

- **მცხეთა-მთიანეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახური**
  მის: ქ.მცხეთა, მუხრანის ქ. №17
  ტელ: +99532 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge

- **რაჭა ლეჩხუმის სამოქალაქო რეესტრის სამსახური**
  მის: ქ.ონი, აღმაშენებლის მოედანი №1
  ტელ: +99532 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge

- **სამეგრელო-ზემო სვანეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახური**
  მის: ქ.ზუგდიდი აღმაშენებლის №106
  ტელ: +99532 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge

  - **წალენჯიხის ფილიალი**
    მის: ქ.წალენჯიხა, თამარ მეფის ქ.№49

- **სამცხე ჯავახეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახური**
  მის: ქ. ახალციხე მიხეილ თამარაშვილის ქუჩა №3
  ტელ: +99532 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge

- **ქვემო ქართლის სამოქალაქო რეესტრი**
  მის: დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 81ა
  ტელ: +99532 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge

- **შიდა ქართლის სამოქალაქო რეესტრის სამსახური**
  მის: ქ.გორი, სამეფო ქ.№ 54
  ტელ: +99532 40 10 10
  ელ. ფოსტა: online@sda.gov.ge

  - **ხაშურის ფილიალი**
    მის: ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №7

<u>დანართი 3.</u> იუსტიციის სახლების საკონტაქტო ინფორმაცია
(https://psh.gov.ge/branches?locale=ka)

იუსტიციის სახლი	მისამართი
თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლი -	ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1
• ბათუმის იუსტიციის სახლი -	ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის №7
• რუსთავის იუსტიციის სახლი -	ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი, №29
• ახალციხის იუსტიციის სახლი -	ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქუჩა, სკვერის მიმდებარედ
• ოზურგეთის იუსტიციის სახლი -	ქ. ოზურგეთი, ი. პეტრიწის ქ. №9
• ქუთაისის იუსტიციის სახლი -	ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის №20
• თელავის იუსტიციის სახლი -	ქ. თელავი, ერეკლე II-ის მოედანი №4
• გორის იუსტიციის სახლი -	ქ. გორი, დ.გურამიშვილის ქ.№5
• თბილისის იუსტიციის სახლი -	ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1
• ყვარლის იუსტიციის სახლი -	ქ. ყვარელი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №57
• მარნეულის იუსტიციის სახლი -	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №1
• გურჯაანის იუსტიციის სახლი -	ქ. გურჯაანი თავისუფლების ქუჩა №15ა
• მესტიის იუსტიციის სახლი -	ქ. მესტია, ი.გაბლიანის ქუჩა №1
• ზუგდიდის იუსტიციის სახლი -	ქ. ზუგდიდი, თეატრის ქუჩა №2
• ბორჯომის იუსტიციის სახლი -	ქ. ბორჯომი ერეკლეს ქუჩა №2
• ფოთის იუსტიციის სახლი -	ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი №26
• თიანეთის იუსტიციის სახლი -	დაბა თიანეთი, დავით სანიკიძის ქუჩა №3
• ყაზბეგის იუსტიციის სახლი -	დაბა სტეფანწმინდა, ალ.ყაზბეგის ქუჩა №49
• ლაგოდეხის იუსტიციის სახლი -	ქ. ლაგოდეხი, ზაქათლის ქუჩა №25ბ
• ონის იუსტიციის სახლი -	ქ. ონი, ვახტანგ VI ქუჩა №8ბ
• ახალქალაქის იუსტიციის სახლი -	ქ. ახალქალაქი,თავისუფლების ქუჩა №93
• მარტვილის იუსტიციის სახლი -	ქ. მარტვილი, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა №2
• სენაკის იუსტიციის სახლი -	ქ. სენაკი, ელიავას №23
• ხონის იუსტიციის სახლი -	ქ. ხონი, მოსე ხონელის ქ. №40
• ბოლნისის იუსტიციის სახლი -	ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ №111ა
• ქარელის იუსტიციის სახლი -	ქ. ქარელი, მეგობრობის ქუჩა
• გარდაბნის იუსტიციის სახლი -	ქ. გარდაბანი, ღმაშენებლის ქ. 83
• წყალტუბოს იუსტიციის სახლი -	ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №35/29
• ვარკეთილის იუსტიციის სახლი -	ქ. თბილისი, ჯ.ლეჟავას ქ.N22

<u>დანართი 4.</u> შსს მომსახურების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია (https://www.sa.gov.ge/contact)

- **რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტი**

  მის.: ქ. რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზტ. 21კმ

  ცხელი ხაზი: 12 72

  ტელ.: +995 (032) 241 91 91

  ელ. ფოსტა: sagency@sa.gov.ge

  fb-გვერდი: https://www.facebook.com/Miaserviceagency

- **სარეგისტრაციო მომსახურება თბილისში**

მომსახურების ცენტრი ახორციელებს სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო და სარეგისტრაციო მომსახურებას სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სადაც მოქმედებს მომსახურების განსხვავებული ტარიფები.

  მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი 270

  ცხელი ხაზი: 12 72

  ტელ.: +995 (032) 241 91 91

  ელ. ფოსტა: sagency@sa.gov.ge

  fb-გვერდი: https://www.facebook.com/Miaserviceagency

  ვებ-გვერდი: https://www.sa.gov.ge/

მომსახურების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები ქვეყნის მასშტაბით 11 ქალაქშია წარმოდგენილი: თბილისი, რუსთავი, გორი, თელავი, ახალციხე, საჩხერე, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ფოთი და ბათუმი. გარდა ამისა, მობილური ჯგუფები ახალქალაქის, დაბა მესტიისა და ამბროლაურის მოსახლეობას პერიოდულად აწვდიან სერვისებს.

შსს მომსახურების სააგენტოს სამუშაო საათები: ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:00; შაბათი: 10:00 - 16:00

<u>დანართი 5.</u> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია

<u>სათავო ოფისი</u> - ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. № 22

<u>რეგიონული ოფისები:</u>

აჭარა - ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. N 7

გურია - ქ. ოზურგეთი, ი. პეტრიწის ქ. N 9

კახეთი - ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზ. N 3

სამეგრელო - ქ. ზუგდიდი, თეატრის ქ. #2

სამცხე-ჯავახეთი - ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქუჩის მიმდებარედ;

ქვემო ქართლი - ქ. რუსთავი, ახალგაზრდობის პარკის მიმდებარე ტერიტორია;

შიდა ქართლი - ქ. გორი, დ. გურამიშვილის ქ. N5-ის მიმდებარედ

ფილიალები:

ახმეტა - ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №50

ახალგორი (რეგიონული ოფისი) - ქ. მცხეთა, მუხრანის ქ. № 17 ;

ზესტაფონი (ფილიალი) - ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №5

თერჯოლა (ფილიალი) - ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №95;

მცხეთა (ფილიალი) ქ. მცხეთა, მუხრანის ქ. № 17

საგარეჯო - ქ. საგარეჯო, ჯაფარიძისქ. №2

წალენჯიხა - ქ. წალენჯიხა, ჭურღულიას ქ. №5

ხაშური - ქ. ხაშური, გ. ტაბიძის ქ. №2

ხელვაჩაური - ხელვაჩაური,ლ. გოთუას. ქ. №65

საჯარო რეესტრის სამუშაო დრო : **ორშაბათი-პარასკევი;09:00-18:00 სთ**

ცხელი ხაზი : 2 405 405

ელფოსტა : INFO@NAPR.GOV.GE

<u>დანართი 6.</u> დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია

სათავო ოფისი:

მის.: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა,

ტელ.: (032) 251 00 26

ელ.ფოსტა: info@idp.gov.ge

fb-გვერდი: https://www.facebook.com/IDPsAgency/?locale=ka_GE

ვებ-გვერდი: https://idp.moh.gov.ge/index.php?lang=1

სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოები:

1. ქ. გორი, სამების ქუჩა N1;
2. ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ. N5
3. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27
4. ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N10

<u>დანართი 7.</u> სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ - საკონტაქტო ინფორმაცია

მის.: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N5/16-18 (უზნაძის ქ. N18) 0102

ცხელი ხაზი: 15 25

საერთაშორისო ზარებისთვის: + 995 32 296 00 10

ელ ფოსტა: info@enterprise.gov.ge

fb-გვერდი: https://www.facebook.com/enterprisegeorgia123/?ref=br_rs

ვებ-გვერდი: www.enterprisegeorgia.gov.ge

<u>დანართი 8.</u> სოფლის განვითარების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია

- **სათავო ოფისი**
  მის.: თბილისი, სანდრო აქმეტელის ქ. 10ა, დიღომი
  ცხელი ხაზი: 1501
  ელ. ფოსტა: info@rda.gov.ge
  ვებ-გვერდი: www.rda.gov.ge

- **იმერეთის რეგიონული სამსახური**
  მის.: ზესტაფონი, წერეთლის ქ. #11
  ტელ.: 599 85 45 13
  ელ. ფოსტა: info.imereti@rda.gov.ge
  https://fb.com/RDAImereti/

- **მცხეთა- მთიანეთის რეგიონული სამსახური**
  მის.: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. #73
  ტელ.: 595 85 83 89
  ელ. ფოსტა: info.mtskheta-mtianeti@rda.gov.ge
  https://fb.com/RDAMtskhetamtianeti/

- **შიდა ქართლის რეგიონული სამსახური**
  მის.: გორი, გრიგოლ ფერაძის ქ. #5,
  ელ. ფოსტა: info.shidaqartli@rda.gov.ge
  ტელ.: 591 19 29 14
  https://fb.com/RDAShidaKartli/

- **ქვემო ქართლის რეგიონული სამსახური**
  მის.: ქ. მარნეული, შ. რუსთაველის 88
  ტელ.: 595 47 60 00
  ელ. ფოსტა: info.qvemoqartli@rda.gov.ge
  https://fb.com/RDAKvemoKartli/

- **სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახური**
  მის.: ახალციხე, კეცხოველის ქ. #6
  ტელ.: 595858332
  ელ. ფოსტა: info.samtskhe-javakheti@rda.gov.ge
  https://fb.com/RDASamtskhejavakheti

- **რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახური**
  მის.: ამბროლაური, მერაბ კოსტავას N20,
  ტელ.: 595 05 48 88
  ელ. ფოსტა: Rachainfo@mepa.gov.ge
  https://fb.com/RDARachaLechkhumiKvemoSvaneti/

- **სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონული სამსახური**
  მის.: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. #79
  ტელ.: 599 32 50 15
  ელ. ფოსტა: info.samegrelo@rda.gov.ge
  https://fb.com/RDASamegrelozemosvaneti/

- **გურიის რეგიონული სამსახური**
  მის.: ოზურგეთი, კოსტავას ქ. #1
  ტელ.: 551 00 53 32
  ელ. ფოსტა: info.guria@rda.gov.ge
  https://fb.com/RDAGuria/

- **კახეთის რეგიონალური სამსახური**
  მის.: თელავი, ერეკლე II-ს ქ. #16
  ტელ.: 577953595
  ელ. ფოსტა: info.kakheti@mepa.gov.ge
  https://fb.com/RDAKakheti/

<u>დანართი 9.</u> საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია

მის.: ინოვაციების ქუჩა #7, ოქროყანა, თბილისი

ტელ.: +995 32 2 00 44 82

ელ. ფოსტა: info@gita.gov.ge

fb-გვერდი: https://www.facebook.com/gitatechpark

ვებ-გვერდი: www.gita.gov.ge

<u>დანართი 10.</u> თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საბავშვო ბაგა ბაღების გაერთიანების საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 29/29ა

ტელ.: 032 237 82 43

ელ. ფოსტა: Saagentoskancelaria@gmail.com

ვებ-გვერდი: www.kids.org.ge

fb-გვერდი: https://www.facebook.com/bagebisaagento?locale=ka_GE

ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: ქუთაისი, რუსთაველის ქ. 1

ტელ.: 0431 25 37 01

ელ. ფოსტა: kidskutaisi@gmail.com

fb-გვერდი

ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქ. N81

ელ. ფოსტა: info@batumikids.ge

რუსთავის საბავშვო ბაგა ბაღების გაერთიანების საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: მისამართი: კოსტავას 20

ცხელი ხაზი: (0341) 241130; (0341) 220076

ელ.ფოსტა: ekaterinekhutsishvili17@gmail.com

ვებ-გვერდი: www.rustavikids.ge

fb გვერდი: https://www.facebook.com/RustaviCityKindergartenAssociation/

<u>დანართი 11.</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონტაქტო ინფორმაცია

მის.: 0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის N52

ცხელი ხაზი: (995 32) 2 200 220

ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

fb გვერდი: https://www.facebook.com/MESGeorgia/

ვებ-გვერდი: https://mes.gov.ge/

<u>დანართი 12.</u> განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკონტაქტო ინფორმაცია

მის.: 0193, თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი N 2

ტელეფონი/ფაქსი: +995 32 2 02 21 21

ელ.ფოსტა info@eqe.ge

fb გვერდი: https://www.facebook.com/eqe.gov.ge/

ვებ-გვერდი: https://eqe.ge/ka

<u>დანართი 13.</u> ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია

მის.: 0119, თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ტელ.: 1505

ელ. ფოსტა: infonha@moh.gov.ge

fb გვერდი: https://www.facebook.com/nationalhealthagency/

ვებ-გვერდი: https://nha.moh.gov.ge/ge/home

<u>დანართი 14.</u> სოციალური მომსახურების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: თბილისი, <u>ივ. ჯავახიშვილის ქ. N51</u>

ცხელი ხაზი: 1505

ელ.ფოსტა: info@ssa.gov.ge

fb გვერდი: https://www.facebook.com/ssageorgia/?locale=ka_GE

ვებ-გვერდი: https://ssa.moh.gov.ge/index.php?lang=1&v=0

<u>დანართი 15.</u> საპენსიო სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას ქ.14.

ტელეფონი (ცხელი ხაზი): 14 80

ელ. ფოსტა info@pensions.ge

fb გვერდი: https://www.facebook.com/pensionagency/

ვებ-გვერდი: https://www.pensions.ge/

<u>დანართი 16.</u> დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისის სერვის-ცენტრი:

- ცენტრალური ოფისი

  მის.: ქ.თბილისი; მიხეილ ასათიანის ქუჩა 9

  ტელ.: 032 239 53 06

  ელ.ფოსტა: infosesa@moh.gov.ge

  Fb გვერდი: https://www.facebook.com/worknet.gov.ge/?locale=ka_GE

  საინფორმაციო სისტემა: www.worknet.gov.ge

- **თბილისის სერვის ცენტრები:**
  - დავით აღმაშენებლის 140 ა
  - სარაჯიშვილი 1
  - კოსტავას 47

რეგიონული სერვის ცენტრები:

- აჭარა: ქ. ბათუმი; ძმები ნობელების ქ. N27;
- იმერეთი: ქ. ქუთაისი; ნიუპორტის ქ. N19;
- გურია: ქ. ოზურგეთი; - გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. N 25;
- სამეგრელო-ზემოსვანეთი: ქ. ზუგდიდი, შოთა რუსთაველის ქ. N79;
- კახეთი: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის ქ. 41;
- შიდა ქართლი: ქ. გორი, გმირების ქ. 18;
- ქვემო ქართლი: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი N1;
- სამცხე-ჯავახეთი: ახალციხე; - ალექსი მანველიშვილის ქ. N23
- რაჭა: ამბროლაური; - ვაჟა ფშაველას ქ. N20დ.

<u>დანართი 17.</u> მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის IOM-ის საქართველოს მისიისა და მისი რეგიონული რესურს ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისია (სათავო ოფისი)	ქ. თბილისი 0162, თ. აბულაძის I ჩიხი, N12 ტელეფონი: +995 32 2 25 22 16 ელ-ფოსტა: iomtbilisi@iom.int ვებგვერდი: https://georgia.iom.int
ქუთაისის მიგრანტთა რესურს-ცენტრი	ქუთაისი 4600, აკაკი წერეთლის N119 ტელ.: +995 577 210560
თელავის მიგრანტთა რესურს-ცენტრი	თელავი 2200, ერეკლე II-ის გამზირი N8 ტელ: +995 350 270872 / +995 577 002092
ფოთის მიგრანტთა რესურს-ცენტრი	ფოთი 4400, ნინოშვილის N101 ტელ.: +995 493 225818
ბათუმის მიგრანტთა რესურს-ცენტრი	ბათუმი 6010, ფარნავაზ მეფის N63 ტელ: +995 577 520015; +995 422 228883